საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 21 იანვარი, 2014 წელი.

№12 (7393)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცეა, ფცეილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„მხედრიონი“ - ბოროტების მხედრობა

9

კიდევ ვინ შეეწირება ჩხატარაშვილ-ნაცვლიშვილის ტანდემს?

3

თბილისის მერს ხევრად მაღალი ლეგიტიმაცია სჭირდება

5

საქართველოს ექსპერტების ოჯახს არ სჯერა მისი გარდაცვალების ოფიციალური ვერსიისა...

8

რუსუდან შარაძე გურამ შარაძის მკვლელობაში მონაწილე პირებს ასახელებს

3

მუზეუმიდან სიწმინდეები დაიკარგა!

2



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პრეზიდენტი

ვიზიტი თურქეთში

საძართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით თურქეთში იმყოფება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის პრესსამსახურიდან აცნობეს, გიორგი მარგველაშვილს ანკარას ესენბოღას საერთაშორისო აეროპორტში თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ეფქან ალა, ანკარის მერი და გუბერნატორი დახვდნენ.

ოფიციალური შეხვედრების დაწყებამდე, გიორგი მარგველაშვილმა ათათურქის საფლავი გვირგვინით შეამკო და სამახსოვრო წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი პირისპირ შეხვდა თურქ კოლეგა აბდულა გიულის.

მხარეები ერთმანეთს გაფართოებული შემადგენლობითაც შეხვდნენ, რის შემდეგაც საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა.

გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში 21 იანვარს ტაო-კლარჯეთში სტუმრობით დასრულდება.

პრეზიდენტის თანმხლები ქართული დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მანანა კობახიძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე, პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი ივანე მაჭავარიანი და საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში ირაკლი კოპლატაძე.

მარგველაშვილმა თებერვლის დასაწყისში პარლამენტს ანგარიში უნდა ჩააბაროს

ყოველწლიური ანგარიშით პარლამენტში მისვლას პრეზიდენტს კონსტიტუცია ავალდებულებს. კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტმა წელიწადში ერთხელ პარლამენტს ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მოხსენება უნდა წარუდგინოს.

პრეზიდენტის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მისვლის საკითხს პარლამენტის რეგლამენტი აზუსტებს და ამბობს, რომ პარლამენტი, როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ დღეს, კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ისმენს.

პარლამენტის საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს იხსნება. ეს დღე 4 თებერვალია.

ევროპულ სტანდარტებში ვერ ჩავჯექით

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, თებერვლის ბოლოსთვის საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების მიღების პროცესი დასრულებული იქნება.

მან უკმაყოფილება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში სათანადო ცვლილებების განხორციელება ვერ მოახერხა. შესაბამისი განცხადება დავით უსუფაშვილმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გააკეთა.

თებერვლის ბოლოსთვის საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების მიღების პროცესი დასრულებული უნდა იყოს. ამით ჩვენ ვერ ვიცავთ დაპირებას, რომ საკითხები უფრო ადრე გადაწყდებოდა. ვაცნობიერებთ და პარლამენტის სახელით ვაცხადებ, რომ ეს ჩვენი ნაკლია, მაგრამ დაგეგმილი ცვლილებების არმიღება იმ მოტივით, რომ სასურველზე ნაკლები დროა დარჩენილი, უფრო უარესი იქნებოდა. დროის თვალსაზრისით, მთლად ევროპულ სტანდარტებში ვერ ჩავჯექით, მაგრამ ქართული ტრადიციული სტანდარტების გათვალისწინებით, ცოტა უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ანუ სადღაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ვართ, — განაცხადა უსუფაშვილმა.

◎ 300 გამძრალი ექსპონატი

მუზეუმიდან სიწმინდეები დაიკარგა!

„მართლმადიდებელთა კრებულის“ ხელმძღვანელი ზაზა ნანობაშვილი ხელოვნების მუზეუმში არსებული სიწმინდეების აღრიცხვა-ინვენტარიზაციას მოითხოვს. მისი თქმით, ჟურნალისტური მოკვლევითა და პროკურატურის ინფორმაციით, ბოლო წლებში 300-მდე ექსპონატია დაკარგული, თუმცა სიწმინდეების ადგილმდებარეობის მოძიება არ ხდება.

უფრო მეტიც, ყოფილა შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო აუქციონებზე აღმოჩენილა დაკარგული ექსპონატები, რომელთა მოძიება ინტერპოლის დახმარებით ვერ ხერხდება, რადგან ინტერპოლთან საჭირო დოკუმენტაცია გაფორმებული არ არის.

ზაზა ნანობაშვილი For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ კონკრეტულად ვერავის დაადებს ხელს, მაგრამ ფაქტია, სიწმინდეები დაკარგულია და ისიც ფაქტია, რომ **რიგითი ადამიანებისთვის შეუძლებელია ხელოვნების ნიმუშების გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ.**

უფრო მეტიც, იგი აცხადებს, რომ საკაშვილმა პატარა ჯიბის სახარება აჩუქა ხელოვნების მუზეუმს, რაც ამდენი სიწმინდის დაკარგვის ფაქტის გადასაფარად გააკეთა, აი, საკუთარი ქონებიდან ხარკი გავიღეო.

„ეს მოჩვენებითი შოუს ნაწილია. ღიად ვერავის დავადანაშაულებ, მაგრამ, როდესაც გამოძიება დაიწყება, გამოჩნდება, ვისი ხელშეწყობით ხდებოდა ეს ყველაფერი. ეს საკითხი მიჩუმათებული იყო და მხოლოდ რამდენიმე სასულიერო პირის თუ გარკვეული ჯგუფების ხმა ისმოდა ბოლო წლებში. მიუხედავად იმისა, რომ კონკორდატის შემდეგ უწმინდესმა ბრძანა, საწყობებში არსებული საგანძური და სიწმინდეები უნდა აღრიცხოს და მათი გამოაშკარავება უნდა მოხდესო, პრაქტიკულად, ეს დღემდე არ მომხდარა. პასპორტიზაციაზე ხომ აღარ არის საუბარი. გვარწმუნებენ, ათი წელი სჭირდება ამ საქმის დაწყებასო. მას შემდეგ მართლაც ათ წელიწადზე მეტი გავიდა და პასპორტიზაცია კიდევ არ დაუწყიათ. ეს ყველაფერი ეჭვს ბადებს, რომ შეგნებულად არ ხდება საგანძურის ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორს ვესაუბრე, იქ მრავლად არის ქართული საგანძურიდან მოხვედრილი ნივთები, რაც უფრო ადრეულ წლებს უკავშირდება. ისინი შედარებით კანონიერი შესყიდვით მოხვდნენ იმ ქვეყნებში, რადგან დიდი მუზეუმები ყოველთვის ერიდებიან „შავ ბაზარზე“ რაღაცის ყიდვას, რათა შენაძენი სადავო არ გახდეს. თუმცა, ევროპაში არის ისეთი „შავი ბაზრები“, სადაც კონფიდენციალობა დაცულია. ვთქვათ, ვიღაცამ გაყიდა ხელოვნების ნიმუში ან სიწმინდე, მის ვინაობას იცავს ბაზარი და არ ამბობს, ვისგან მიიღო შენაძენი. ამიტომ, ასეთი ნიმუში ქვეყნისთვის დაკარგულად ითვლება, რადგან ვინც იყიდა, აღარ დაგიბრუნებს, თუ ინტერპოლი არ ჩაერთო საქმეში“, — განაცხადა ნანობაშვილმა.

რაც შეეხება დაკარგული ნიმუშების ჩამონათვალს, მისი თქმით, სია უსასრულოა. მათ შორის, ბენუას „ვენეციის არხი“, აივაზოვსკის „სევასტოპოლის აღება“ და „თბილისის ხედი“, რომლებიც ადრეულ წლებში დაიკარგა. თუმცა, ერთიც კია, ნანობაშვილის თქმით, არ არის გამორიცხული, ეს ნიმუშები ადრეულ წლებში დაკარგულებად წარმოაჩინეს. სინამდვილეში, უფრო გვიან დაიკარგა, რადგან ხელოვნების მუზეუმის ყოფილი დირექტორი ნოდარ ლომოური აცხადებდა, თვით „მხედრიონის“ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქალაქი ააოხრეს, ჩვენთან არ შემოსულან, ქართველ კაცში იმდენი სიწმინდეა, განძისთვის ხელი არ უხლიათო.

მოგვიანებით დაკარგულ ნიმუშებთან დაკავშირებით ზაზა ნანობაშვილი აცხადებს, რომ ფიროსმანის „ფაეტონი“ და „ღამის ქეიფი“ უკვე 2007 წელს გაიტანეს, ასევე, ამავე წელს გაიტანეს ახალი აღთქმის უნიკალური უძველესი ხელნაწერი. არც ნაყოფიერების ღვთაების ბრინჯაოს ქანდაკების (ჩვ.წ. აღ-მდე III საუკუნე) დაკარგვაზეა აღძრული საქმე. ლადო გუდიაშვილის „ლურჯა ცხენები“ და „მერი“ წაღებულია, ოზურგეთის ისტორიული მუზეუმიდან რამდენიმე ექსპონატი მიითვისა მუზეუმის დირექტორმა, მათ შორის, მეფე ერეკლეს ხმალი, აქ სავარაუდო თარიღად „2004 წლამდე“ წერია. ამას ნანობაშვილი იმით ხსნის, რომ შეიძლება, სურდათ, ხელოვნების ნიმუშის დაკარგვა ძველ მთავრობას დაბრალებოდა. არ ჩანს კაჟიანი თოფები, მონეტები, სურათები, მეფეთა თუ კათალიკოს-პატრიარქთა ჯვრები, მათ შორის, ჭავჭავაძეების საგვარეულო ჯვარი, ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმუდან საგვარეულო ბეჭედი, მაცხოვრის ხატი, ოლღა გურამიშვილის კუთვნილი ოქროს საათი, ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილო „აჩრდილი“. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმიდან კი ანტიკური ხანის 73 დასახელების სამუზეომო ექსპონატია წაღებული, რომლებიც ეროვნულ საგანძურს მიეკუთვნებოდა. ე.წ. ოქროს სეიფიდან კი მოპარულია ანტიკური ხანის ოქროს სამკაულები და მრავალი სხვა უნიკალური ექსპონატი, მათ შორის, დაკარგულია ნივთები ქუთაისის ისტორიული და ეთნოგრაფიული მუზეუმიდან და სხვა.

მომხდართან დაკავშირებით ზაზა ნანობაშვილს ახსენდება 1936 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიმართვა ქართველი ერისადმი. ექვთიმე თაყაიშვილმა იმ პერიოდში ევროპულ კოლექციებში ქართული საგანძურის მოხვედრის შესახებ შეიტყო და მაშინვე განგაშის ზარები შემოკრა. მან იქიდან მოუწოდა თანამემამულეებს, ქართული საგანძური ჩინოვნიკებმა გაყიდეს (იგულისხმება კომუნისტები) და ამ საგანძურს საზოგადოებამ მიხედეთო. ამისთვის, იგი, პირველ რიგში, ამ საგანძურის აღრიცხვას სთხოვდა ქართველებს.

„კონკორდატი ფარსი იყო, სადაც ეწერა, რომ ეკლესიის საკუთრება ეკლესიის ქონებად ითვლებოდა. სინამდვილეში, ეკლესიას არ უშვებენ ამ ქონებამდე, მხოლოდ 29 აგვისტოს, ანჩისხატობაზე უშვებენ მომლოცველებს ხელოვნების მუზეუმში და სამადლობლად 5 წუთს ალოცვინებენ. ეს ათეისტურ ხატმებრძოლობას უთანაბრდება, როცა ხატის წინ ლოცვა იკრძალება. ვერ ვიტყვი, რომ მუზეუმის ყველა თანამშრომელი გულგრილია ამ საკითხის მიმართ, გამოხატავენ კიდეც გულისტკენას, მაგრამ ხელფასის დაკარგვის შიშით ამას ხმამაღლა ვერ ამბობენ. ახალ მთავრობას უნდობლად არ ვუყურებთ, მაგრამ უნდა გამოიძიონ ეს საქმეები. ადამიანების დაჭერით ჩვენ არ ვართ დაინტერესებულნი, მაგრამ ცუდია, როცა გვესმის, რომ ლონდონის აუქციონზე მოხვედრილა ერთ-ერთი ქართული ნივთი, ევროპის ბევრ ქვეყნაში ვართ ნამყოფი და იქაც გვსმენია ამის შესახებ“, — გვითხრა ზაზა ნანობაშვილმა.

For.ge დაუკავშირდა ხელოვნებათმცდნეობის დოქტორს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დირექტორის მოადგილეს გია მარსაგიშვილს. მან განმარტა, რომ ბოლო წლებში ხელოვნების მუზეუმიდან არაფერი დაკარგულა.

„ზაზა ნანობაშვილი აცხადებს, ხელოვნების მუზეუმს სააკაშვილმა ჯიბის სახარება გადასცა საჩუქრადო. სინამდვილეში, მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის დროს ჩვენს ხელოვნების მუზეუმში არც ერთხელ არ ყოფილა მოსული და არ გადმოუცია ჩვენთვის ჯიბის სახარება. სხვა მუზეუმს თუ გადასცა, ჩვენს მუზეუმს რატომ უნდა მიეწეროს?! გვაბრალებენ, ხელოვნების ნიმუშების აღწერა არ მიმდინარეობსო. როგორ არ მიმდინარეობს? კომისია ამაზე მუშაობს. უკვე ორ წელზე მეტია, მიმდინარეობს მთელი საგანძურის აღწერა. თავის დროზე, აივაზოვსკის ნამუშევრები ყაჩაღური გზით გაიტაცეს. საუბარი იყო სიწმინდეებზეც, თუმცა, არც ერთ მუზეუმს ყველა თავისი ექსპონატი გამოფენილი არ აქვს. მხოლოდ 8-10%-ია გამოფენილი, ისიც იდეალურ შემთხვევაში. რაც გატაცებული და მოპარული იყო 1994 წლის ბოლომდე, ეს ყველაფერი გადაცემული გვაქვს პროკურატურასა და ინტერპოლში გამოსაძიებლად“, — გვითხრა გია მარსაგიშვილმა.

მარიამ ლოლაშვილი

◎ ინფორმაცია

ბიზნესმენმა პირი ამოიკერა

მარჯანიშვილზე, „თიბისი ბანკის“ სათავო ოფისთან ბიზნესმენმა ზაზა ზაქარეიშვილმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა.

შემთხვევის ადგილზე შეიკრიბნენ როგორც ბიზნესმენის ახლობლები, ასევე საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები;

ბიზნესმენ ზაზა ზაქარეიშვილს ბანკიდან გამოტანილი ჰქონდა სესხი 430 000 დოლარი, 10-წლიანი ვადით, თუმცა, როგორც მისი ადვოკატი განმარტავს, მას სესხის გადახდის ვადა შეუმცირეს და აიძულებენ, რომ ეს სესხი 5 წელიწადში დაფაროს.

ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილის განმარტებით, აღებული სესხიდან ბიზნესმენს გადასახდელი დარჩა მხოლოდ 260 000 დოლარი. გარდა ამისა, ზაზა ზაქარეიშვილი ასევე ითხოვს, რომ დაახლოებით მილიონნახევრის ქონება, რომელიც მას ჩადებული აქვს ბანკში, გამოუთავისუფლდეს.

ადვოკატის შეფასებით, ბანკი არ არის დაინტერესებული, რომ სესხი დაფაროს. მისი თქმით, ბანკი დაინტერსებულია ქონების ჩამორთმევით.

ბიზნესმენის ადვოკატმა გაავრცელა ზაზა ზაქარეიშვილის განცხადება, სადაც მისი მოთხოვნები ხუთ პუნქტად არის ჩამოყალიბებული. განცხადებაში ბიზნესმენი მოითხოვს შეპირებული პირობების შესრულებას და შეპირებული ფართების გამოთავისუფლებას, კერძოდ კი, როგორც განცხადებაშია აღნიშნული მას ამ სესხისთვის ჩადებული აქვს სასტუმრო ქუთაისში, საოფისე ფართი თბილისში, სასტუმრო დაბა ურეკში და სხვა უძრავი ქონება. შეპირებულები იყვნენ, რომ გამოთავისუფლდებოდა უძრავი ქონება სასტუმრო დაბა ურეკში და ორი ფართი ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე.

ინტერპრესი

კიდევ ვინ შეეწირება ჩხატარაშვილ–ნაცვლიშვილის ტანდემს?

„არ ვიცი რატომ იყო ჩხატარაშვილი პროკურატურაში პოპულარული და ამას გავარკვევთ“, – აცხადებს ირაკლი ღარიბაშილი, რომლის განცხადებით, ჩხატარაშვილი მისთვის პოპულარული არასდროს ყოფილა, **ჩხატარაშვილი პოპულაური იყო მთავარი პროკურორის პირველი მოადგილისთვის და ყოფილი პრემიერის ეკონომიკური მრჩევლისთვის, გია ხუხაშვილისთვის. ლაშა ნაცვლიშვილსგან განსხვავებით, გია ხუხაშვილი არ უარყოფს ჩხატარაშვილთან ურთიერთობას.**

თუმცა, თავდაპირველად, 2013 წლის მაისში, როდესაც საქართველოს ექს-პრეზიდენტმა დავით ჩხატარაშვილი გია ხუხაშვილთან ერთად, ბიზნესზე ზეწოლაში დაადანაშაულა. მაშინ გია ხუხაშვილმა, რომელიც პრემიერ-მინისტრის მრჩეველი იყო, ჩხატარაშვილთან ნაცნობობა და კავშირები უარყო. თუმცა, მოგვიანებით დაადასტურა, რომ რამდენჯერმე შეხვდა ჩხატარაშვილს, ესაუბრა და მისგანაც მიიღო ინფორმაცია სასჯელაღსრულების ადგილებში არსებული მდგომარეობის შესახებ. გია ხუხაშვილის თქმით, მას არ აქვს ინფორმაცია, თანამშრომლობდა თუ არა დავით ჩხატარაშვილი ყოფილი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილთან.

თავად ნაცვლიშვილმა ქვეყანა ისე დატოვა, რომ მის წინააღდეგ არსებული ბრალდებები პასუხგაუცემელი დატოვა. ნაცვლიშვილი ამჟამად შვეიცარიაში იმყოფება, გავრცელებული ინფრომაციით, მან ქვეყნიდან 100 მლნ. დოლარიც წაიღო. ლაშა ნაცვლიშვილის ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს მთავარი პროკურატურა უკვე სწავლობს. გია ხუხაშვილი თვლის, რომ ნაცვლიშვილის მიერ ქვეყნის დატოვება ეჭვებს აძლიერებს.

„მე არ ვიცი, რაზეა კონკრეტულად საუბარი. თუ ლაშა ნაცვლიშვილმა ფული მოიპარა, ან სხვა რამე გააკეთა, არსებობს სამართალდამცავი ორგანოები, რომლებმაც ამაზე განმარტებები უნდა გააკეთონ. როდესაც არის რაღაცა მუდმივი გადაჩურჩულებები და სამართალდამცავები ამაზე კომენტარს არ აკეთებენ, ძალიან უცნაური სიტუციაა და ჩნდება ვარაუდი, რომ რაღაცა სხვა ინტერესი დგას ამის უკან.

რა თქმა უნდა, ლაპარაკები ბევრი მსმენია. თავს ვერ დავდებ, თუმცა, მისი ქვეყნიდან წასვლა აძლიერებს ამ ეჭვებს. ლაშა ნამდვილად არაა იმდენად სულელი, რომ რა ხმებიც მასზე დადის, ეს მას გაეკეთებინა. მაგრამ ეჭვებს აძლიერებს ის ფაქტი, რომ წავიდა, თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს დროებითია და მალე გამოჩნდება ქვეყანაში. მე თუ მექნება ამის საშუალება, მეც ვთხოვ რომ გამოჩნდეს ქვეყანაში. ამდენ კითხვებზე პასუხის არგაცემა, კიდევ უფრი აძლიერებს ამ ეჭვებს და ეს ცუდია მისთვის“, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

ხუხაშვილი ადასტურებს, რომ ჩხატარაშვილთან ჰქონდა კომუნიკაცია.

„მინდოდა იმ დანაშაულებრივი სისტემის მუშაობის ალგორითმი გამეგო, თუ როგორ მუშაობდა სისტემა. ჩხატარაშვილი იყო ამ სისტემის ერთ-ერთი მსახური. ეს იყო არჩევნების შემდეგ, ერთი-ორი თვის განმავლობაში. რამდენიმე შეხვედრა მქონდა მასთან. ბევრი ვერაფერი ინფორმაცია ვერ მივიღე, მაგრამ საინტერესო რაღაცეები ითქვა მისი მხრიდან. ეს სამწუხარო რეალობაა. ის არ იყო სისტემის დამკვეთი, ის იყო სისტემის კარგი, ინტელექტუალური მსახური. სხვა მასთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია“, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

„ჩხატარაშვილი იყო ძალიან გავლენიანი პიროვნება ყოფილი ხელისუფლების დროს. ის არ ყოფილა პოპულარული პირადად ჩემთვის და არც ბატონი ბიძინასთვის. მე არ ვიცი, რატომ იყო ის პოპულარული პროკურატურაში და ამას ჩვენ გავარკვევთ. ჩვენთვის გახდა ცნობილი, რომ ის ამჟამად არის ბრალდებული და კონკრეტული გამოძიება მიმდინარეობს. დანარჩენი გაირკვევა, არაფერი არ იმალება და არაფერი დარჩება პასუხგაუცემელი“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის განცხადებით, საკაშვილის მთავრობის მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე, დავით ჩხატარაშვილი პროკურატურაში კონსულტანტად ჰყავდათ მიღებული. გაზეთ „პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ის ამბობს, რომ სანამ პროკურორი გახდებოდა, მანამდე კომფორტულად გრძნობდა თავს პროკურატურაში.

„თავისუფლად მიდი-მოდიოდა. კონსულტაციებს აძლევდა პროკურატურის მაშინდელ თანამშრომლებს. ჩხატარაშვილი მიღებულ კონსულტანტად ჰყავდა პროკურატურას. ამაზე მე მაქვს ინფორმაცია“, – აცხადებს ოთარ ფარცხალაძე.

ჩხატარაშვილი რომ პროკურატურაში ხშირი სტუმარი იყო და ის სპეციალური საშვის გარეშე შედიოდა პროკურატურის შენობაში, ამას მთავარი პროკურატურის თანამშრომლებიც ადასტურებენ. მათივე განმარტებით, ადეიშვილის ყოფილი მოადგილე, ძირითადად, მე-4 სართულის კორიდორში ფიქსირდებოდა, ამავე სართულზე იყო ლაშა ნაცვლიშვილის სამუშაო კაბინეტი.

გავრცელებული ინფორმაციით, ჩხატარაშვილის მეშვეობით დაამყარა კავშირი ნაცვლიშვილმა კუდ-ის ყოფილ უფროსთან, დათა ახალაიასთან და იუსტიციის ყოფილ მინისტრთან, ზურაბ ადეიშვილთან, რომელიც ინტეროპოლით ძებნილთა სიაში მხოლოდ მას შემდეგ მოხვდა, როცა ინფორმაცია მედიით გავრცელდა. ამ ისტორიაში საინტერესოა ის დეტალიც, რომ ჩხატარაშვილის წარსული საქმიანობით რატომღაც მთავარი პროკურატურა არ დაინტერესებულა. მეტიც – ჩხატარაშვილმა ნდობა იმდენად მოიპოვა, რომ პროკურატურაში ადეიშვილის კადრების ლობირებაც დაიწყო და ზოგი მათგანი კვლავ დაბრუნა ამ სისტემაში. სწორედ ჩხატარაშვილის რეკომენდაციით დააბრუნა ლაშა ნაცვლიშვილმა პროკურატურაში ზურაბ ადეიშვილის კადრი ნინო ბერუაშვილი და ის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსად დანიშნა. საკადრო გადაწყვეტილებას ნაცვლიშვილი მთავარ პროკურორთან შეუთანხმებლად იღებდა, რაც მათი დაპირისპირების მიზეზიც გახდა.

ექსპერტ კახი კახიშვილის შეფასებით, მთავარმა პროკურატურამ ყოფილი მაღალჩინოსნის დავით ჩხატარაშვილის პერიოდზე გამოძიება უნდა დაიწყოს. კახიშვილის განცხადებით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩხატარაშვილის საქმიანობიდან გამომდინარე, კონკრეტული მაღალჩინოსნების საქმეზე, სასამართლოში სუსტი ბრალდებების გაგზავნა მოხდა, რათა მათზე დამდგარიყო გამამართლებელი განაჩენი.

„ჩხატარაშვილი რომ იყო მთავარი კონსულტანტი **პროკურატურის, ამის თაობაზე ჩვენ ერთი წელია, ვსაუბრობთ. ჩხატარაშვილი 2012 წლის შემდეგ პროკურატურაში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა გახდა. მანამდე, უბრალოდ, იყო დე იურე მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე, პირველი ოქტომბრის შემდეგ კი გახდა დე ფაქტო მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე. მისი კადრები ისევ ბრუნდებოდნენ, ინიშნებოდნენ მაღალ თანამდებობებზე. მეტიც, საკადრო პოლიტიკას და სისხლის სამართლის საქმეების მიმართულებასაც კი ის განსაზღვრავდა“,** – აცხადებს კახიშვილი.

მისივე განმარტებით, საუბარია იმაზე, თუ რომელი საქმე უნდა ყოფილიყო გამოძიებული, რომელი უნდა შემოელაგებინათ თاროზე. ამიტომაც ეს პერიოდი სრულად გამოსაძიებელია.

„იცით, რომ მაშინდელი მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელობა და მთავრობაც ამას უარყოფდა. დღეს კი ფაქტია, რომ ჩხატარაშვილი არა მხოლოდ კონსულტაციას უწევდა პროკურატურას, არამედ თავისუფლად გადაადგილდებოდა. ამიტომაც გამოსაძიებელია, მთლიანი პერიოდი და კონკრეტულად, ამით რა ზიანი მიადგა სისხლის სამართლის საქმეებს, მათი გამოძიების პერსპექტივას, რადგანაც არა ერთხელ გამოიკვეთა საფუძვლიანი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, ხომ არ მოხდა შეგნებულად კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვისთვის სასამართლოში გაშვება სუსტი ბრალდებით, რომ შემდგომში მათზე გამამართლებელი განაჩენი დამდგარიყო“, – აცხადებს კახიშვილი.

როგორც კახიშვილი აცხადებს, მთავარმა პროკურატურამ ერთი წლის მანძილზე ვერ შეძლო და ვერ გამოკვეთა ორგანიზებული დანაშაული, რაც სისტემურ დანაშაულს ნიშნავს. მისივე თქმით, ამ პერიოდის მანძილზე საზოგადოებამ იხილა ბრალდებები მხოლოდ რამდენიმე პირის მიმართ და ბევრი მათგანის განხილვა დასრულდა გამამართლებელი განაჩენით.

თამთა ძარჩავა

◎ ახალი ვერსია

რუსუდან შარაძე გურამ შარაძის მკვლელობაში მონაწილე პირებს ასახელებს

გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე რუსუდან შარაძემ განაცხადა , რომ გურამ შარაძის საქმეში უმნიშვნელოვანესი მოწმეა ყოფილი პოლიციელი და მეგის ქარდავას დაქვემდებარებაში მყოფი პირი გურიკა ქადარია. მისი განცხადებით, სწორედ მას დაავალა მეგის ქარდავამ გურამ შარაძის მკვლელობა.

„გურამ შარაძის მკვლელობის სისრულეში მოსაყვანად მეგის ქარდავამ გურიკა ქადარიას უბრძანა ზუგდიდიდან თბილისში ორი სპეცრაზმელის – გია ფაჩულიას და თემურ ჯგერენაიას გადაყვანა. ესენი არიან ის სპეცრაზმელები, რომლებსაც მეგის ქარდავას გეგმის მიხედვით, მამაჩემი უნდა მოეკლათ. მეგის ქარდავამ გურიკა ქადარიას წინასწარ 5 000 დოლარი გადაუხადა“, – განაცხადა რუსუდან შარაძემ.

იგი მოითხოვს, დაიკითხოს მის მიერ დასახელებული ყველა პირი და ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, დაიწყოს გურამ შარაძის მკვლელობის ხელახალი გამოძიება. რუსუდან შარაძე ასევე მოითხოვს, რომ მის მიერ დასახელებული მოწმის, გურიკა ქადარიას სიცოცხლე და უსაფრთხოება შესაბამისი უწყებების მიერ იყოს დაცული. გურამ შარაძე 2007 წლის 20 მაისს თბილისის ცენტრში მოკლეს.

ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲩᲘᲜᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲝᲜᲔ

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ

ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ კარგადაა ცნობილი ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელშიც ჩვენი განათლების სისტემა, მეცნიერება და კულტურა აღმოჩნდა. წინა ხელისუფლებამ გააუქმა საშუალო სკოლა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. ბატონ შაშკინის განცხადება: **„ჩვენ ვაფინანსებთ არა უნივერსიტეტს, არამედ სტუდენტს“**, დღესაც მოქმედებს და განათლების აღორძინებაზე საუბარი უკვე ზედმეტია.

სამწუხაროდ, დღეს სახელმწიფო ისევ აგრძელებს უმაღლესი სასწავლებლების „ვაუჩერებით“ დაფინანსებას და ამით „შაშკინის გზას“ მისდევს, რაც განათლების სრული განადგურების მიზეზი გახდება.

უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი სწავლების შემოღება მთავარი მიზეზია განათლების დონის დაცემისა. როდესაც უნივერსიტეტი სტუდენტების „კმაყოფაზეა“, ის მას ისე „უფრთხილდება“, რომ უსწავლელობასაც აპატიებს და გაუნათლებობასაც. ერთადერთი, რასაც უნივერსიტეტი სტუდენტს ვერ პატიობს, ეს სწავლის ფულის გადაუხდელობაა. ამ პირობებში შეუძლებელია ახალგაზრდების რაიმე პროფესიული დონის მომზადებაზე საუბარი.

მე ძალზე კმაყოფილი ვიყავი თქვენთან შეხვედრით შარშან თქვენი განათლების მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს და თქვენი დაპირებით, რომ **სექტემბრიდან შეიცვლებოდა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსების წესი, მოწესრიგდებოდა და გაიზრდებოდა „გრანტული“ დაფინანსება და დიდი ყურადღებით განიხილებოდა სახელმძღვანელოების ხარისხის ამაღლების პრობლემა.** შეხვედრის დროს მე გადმოგეცით ფიზიკის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლებისთვის (და არა დაწყებითი განათლების სკოლებისთვის, რომლებიც დღეს გვაქვს „საჯარო სკოლების“ სახით).

საქართველოს პრეზიდენტად თქვენი არჩევის შემდეგ, როგორც ჩანს, **სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას ამ უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან, რაშიც განათლება და მეცნიერება ჩავარდა, გამოსვლის არავითარი სურვილი არ აღმოაჩნდა.**

დიდი იმედი მაქვს თქვენი განათლებულობის და განათლების სამინისტროზე დიდი გავლენის, რომ სამინისტრო ამ გადაწყვეტილებას უკუაგდებს და საქართველოს ეროვნული აკადემიის ფუნქციონირების გაზრდაზე იფიქრებს. ამის გარეშე შეუძლებელია საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის პრობლემის გადაწყვეტა, განსაკუთრებით ენერგეტიკის დარგში.

მართალია, თქვენი მინისტრობის პერიოდში განათლების სისტემის გაუმჯობესების საკითხებში გარკვეული მნიშვნელოვანი ძვრები დაიწყო, მაგრამ თქვენი წასვლის შემდეგ ეს ძვრები აღარ შეინიშნება. პირიქით, განათლების სამინისტროს სურს, დააარსოს სამეცნიერო ცენტრები, სადაც თანამშრომლების 70% უცხოელები უნდა იყოს, ხოლო 65 წლის ზევით ყველა მეცნიერი სამუშაოდან უნდა განთავისუფლდეს. **ეს ნამდვილად უდიდესი კატასტროფა იქნება**, რადგან ჯერჯერობით სამეცნიერო პოტენციალის უდიდესი ნაწილი სამწუხაროდ სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფშია თავმოყრილი, ხოლო იმისი იმედი, რომ ამ განვითარებად ქვეყანაში ვინმე, თუნდაც ერთი ნორმალური მეცნიერი, იკადრებს ჩამოსვლას, სრულიად წარმოუდგენელია. აქ ჩამოვა ის უბადრუკი „ახალგაზრდა მეცნიერი“, რომელიც თავის ქვეყანაში უმუშევარი დარჩა.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არსებული კანონით პრაქტიკულად გაუქმებულია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები და არ არსებობს საშუალო სკოლა. საშუალო სკოლა შეცვალა „საჯარო სკოლამ“ უბადრუკი სასწავლო პროგრამებით და დაუშვებლად დაბალი დონის სახელმძღვანელოებით, რომლებიც მხოლოდ დაწყებითი განათლების დონეს შეესაბამება, მაქსიმუმ 8-კლასიანი განათლებით. სამწუხაროდ, 8-წლიანი სუსტი სასწავლო პროგრამა 12 წლამდეა გადაჭიმული. ამ პროგრამის „დაძლევის“ შემდეგ ახალგაზრდას უფლება არა აქვს უცხოეთის ნორმალური დონის უნივერსიტეტში გააგრძელოს სწავლა, თუ მან იქ, თუნდაც იმ უნივერსიტეტთან არსებული დამატებით საშუალო სკოლის რომელიმე კოლეჯი არ დაამთავრა.

თავად ამერიკული ორგანიზაცია RTI-ის განცხადებით, მათ საქართველოში და კამბოჯაში ჩაატარეს განათლების „წარმატებული რეფორმა“ და ვხედავთ, რომ ჩვენი განათლების სისტემაც სწრაფად დავიდა აფრიკის განვითარებადი ქვეყნების განათლების დონეზე.

მართალია, საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს, რომ ყველა „საჯარო სკოლა“ კვლავ „საშუალო სკოლა“ გახდეს (ეს არც არის საჭირო), მაგრამ აუცილებელია, რომ დიდ ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში აღსდგეს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო საშუალო სკოლა შესაბამისი სასწავლო პროგრამებით და სახელმძღვანელოებით. რაიონულ ცენტრებში საშუალო სკოლას, შესაძლოა, ინტერნატის ფორმაც მიეცეს. სწორედ ამ სკოლებში უნდა მოიყაროს თავი ნიჭიერმა ახალგაზრდობამ, სადაც სწავლება იქნება მკაცრი წესებით, მაღალი დონის ყოველწლიური გამოცდებით და მოსწავლეების განთესვით აკადემიური წარმატებების მიხედვით. ამის პარალელურად უნდა შეიქმნას სხვადასხვა მიმართულების „სახელობო“ სასწავლებლები, სადაც 8-წლიანი „საჯარო სკოლის“ კურსდამთავრებულნი სწავლას გააგრძელებენ 3-4-წლიანი სასწავლო პროგრამებით და გარკვეულ პროფესიას მიიღებენ.

ჩვენ უნდა შევძლოთ სახელმწიფო საშუალო სკოლებში ნიჭიერი ბავშვების მოზიდვა, რათა მათ მივცეთ უცხოეთის მაღალი დონის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. საუბედუროდ, ჩვენს უნივერსიტეტებში მეცნიერს ვეღარ აღვზრდით.

> **სახელმწიფომ სრულად უნდა დააფინანსოს მხოლოდ ის უნივერსიტეტები და სპეციალობები, რომლებიც ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების, საინჟინრო-ტექნოლოგიური, სამედიცინო და ხელოვნების დარგებში ქვეყნისათვის საჭირო უმაღლესი დონის სპეციალისტების მომზადებას უზრუნველყოფს.**

დღეს სრულყოფილი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელიც აღარ არსებობს, რადგან ყველა უნივერსიტეტის დაფინანსება სტუდენტების გადასახადებით ხდება (მათ შორის სახელმწიფო ვაუჩერების გზით, რომელიც მთლიანი დაფინანსების დაახლოებით 4 %-ს შეადგენს). ეს დაფინანსებაც იმდენად მწირია (30-60 მილიონი ლარის ფარგლებში), რომ მაღალი დონის სპეციალისტების აღზრდა შეუძლებელია (საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების ბიუჯეტი მილიარდ აშშ დოლარს აღემატება).

დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა, რომ ყველა არსებულ უნივერსიტეტს შესაბამისი სახელმწიფო დაფინანსება ჰქონდეს, მაგრამ **უნდა გამოიყოს 3-4 უნივერსიტეტი მაინც, რომელიც მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზე გადავა.** სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსება არ უნდა იყოს დამოკიდებული სტუდენტთა რაოდენობაზე. სტუდენტი არ იხდის გადასახადს, იღებს სტიპენდიას, მაგრამ აკადემიური წარუმატებლობის შემთხვევაში ტოვებს სახელმწიფო სასწავლებელს და ფასიან სასწავლებელში გადადის.

სახელმწიფომ სრულად უნდა დააფინანსოს მხოლოდ ის უნივერსიტეტები და სპეციალობები, რომლებიც ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების, საინჟინრო-ტექნოლოგიური, სამედიცინო და ხელოვნების დარგებში ქვეყნისათვის საჭირო უმაღლესი დონის სპეციალისტების მომზადებას უზრუნველყოფს. ამდენად, უნდა აღდგეს ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და ხელოვნების სახელმწიფო აკადემია (კონსერვატორია, სამხატვრო, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტები). დასაშვებია ამ დარგის ფასიანი უნივერსიტეტების არსებობაც, მაგრამ სახელმწიფო უნივერსიტეტებში უნდა განხორციელდეს უმაღლესი დონის სასწავლო პროგრამები მკაცრი სასესიო და სახელმწიფო გამოცდებით, რათა სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომები მხოლოდ ღირსეულმა, ნიჭიერმა კურსდამთავრებულმა მიიღოს. ფასიანი სექტორი ამ უნივერსიტეტებშიც უნდა დაიშვას ნაკლებად ნიჭიერი სტუდენტებისათვის გამარტივებული სასწავლო პროგრამებით.

ჩვენთან არსებობდა ნიჭიერ მუსიკოსთა ათწლედები და სწორედ მათ უნდა ვუმადლოდეთ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვების არსებობას. სწორედ ამ ნიჭიერმა ბავშვებმა გაუთქვეს სახელი ჩვენს კონსერვატორიას. დღეს ეს მუსიკოსები მთელ მსოფლიოშია განფენილი და მათი წარმატებებითაც დიდად ვამაყობთ. თუმცა, ამჟამინდელ საქართველოში მათი დაბრუნება აზრს კარგავს. ასევე უაზროა ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერების აქ დაბრუნება, რადგან მათ აქ ნორმალური სამუშაო და ფინანსური პირობები არ დახვდება.

ასევე აზრს კარგავს უცხოეთში მოღვაწე 150-მდე საუკეთესო ქართველი მეცნიერის დაბრუნება საქართველოში აქ არსებული სამუშაო პირობების გამო.

შეუძლებელია მეცნიერების (განსაკუთრებით ფუნდამენტური მეცნიერების) განვითარება სრული სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე. სამეცნიერო გრანტების გაცემის სისტემამ ვერ გაამართლა, რადგან საზღვარგარეთ გადის ისეთი ღირებული ინფორმაციაც, რომელთა გასვლა დღევანდელი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში დაუშვებელია. თანაც, ასეთი პროექტები ძალზე იშვიათად ფინანსდება, თუმცა, საზღვარგარეთის ფირმები მათ თავიანთ სასარგებლოდ წარმატებით იყენებს. უნდა შევიცნოთ, რომ საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი დღითი დღე მცირდება, რადგან ნიჭიერი ახალგაზრდებით სამეცნიერო დაწესებულებების შევსება აღარ ხდება, ხოლო ნიჭიერი ახალგაზრდების სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ აქ არსებულ სამუშაო პირობებზეა დამოკიდებული.

დღეს ჩვენი განათლების სისტემა მაღალი დონის მასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობას განიცდის. მართალია, მაღალი დონის მასწავლებელთა ნაკლებობას ევროპისა და ამერიკის მრავალი ქვეყანა განიცდის, მაგრამ ისინი ამ ნაკლს ნაწილობრივ მაღალი დონის სახელმძღვანელოებით ავსებენ. ჩვენთან კი, არა მარტო უმაღლესი სკოლა, არამედ საჯარო სკოლაც კი არაა უზრუნველყოფილი საშუალო დონის სახელმძღვანელოებით. ამიტომ, სტუდენტობა ძირითადად კონსპექტის ამარა რჩება.

სამწუხაროდ, დღეს სტუდენტთა მიაღლები კონტინგენტი ფორმირდება არა აბიტურიენტის ცოდნის დონით, არამედ სასწავლებელში მისაღები სტუდენტების რაოდენობით. სასწავლებელში მისაღები კონტიგენტის რაოდენობა აბიტურიენტის ცოდნის დონეზე უნდა გადიოდეს. დღეს უნივერსიტეტები აბიტურიენტების ძებნაშია, რადგან საკუთარ ფინანსურ გადარჩენაზე ფიქრობს. ამასთანავე, საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობის დონე იმდენად დაბალია, რომ საქართველოში უნივერსიტეტების არსებობა, საერთოდ, კითხვის ქვეშ დგება. ამრიგად, **დღეს სკოლის უპირველესი ამოცანა სასწავლო პროცესის დახვეწა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაა.** სწორედ ამიტომ უნდა დაარსდეს მაღალი დონის სახელმწიფო უმაღლესი და საშუალო სკოლები.

ძალზე დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი მაღალი დონის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შესაქმნელად. ამ მძიმე ამოცანის შესრულება უნდა შეძლოს ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებამ, რათა გადავარჩინოთ ჩვენი ერის ერთ დროს მაღალი ინტელექტუალური დონე და ქართული ნიჭი.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲯᲘᲒᲚᲐᲫᲔ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲤᲘᲖᲘᲙᲐ-ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, �პᲔᲢᲠᲔ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ.

◎ სიმართლე კი ასეთია

დასტაქარი, რომელმაც სიცოცხლე შეგვინარჩუნა!

ერთი მიზანმიმართულად სახელგამტეხი კამპანიის გამო

საქართველოს ერთ-ერთ გაზეთში ცნობილი ექიმის, პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის მიმართ გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი სტატიების გამო თავისი გულისტკივილის გამოხატვა გვთხოვა ზუგდიდელმა ექიმმა, ამჟამად პენსიონერმა, ბატონმა ბუკა შენგელიამ.

„მე ამჟამად ცოცხალი რომ ვარ, ეს ბატონ გურამ ქარაზანაშვილის დამსახურებაა და მის მიმართ გამოთქმული ლანძღვა-გინების გამო ვარ გულნატკენი და აღშფოთებული. მძიმე ავადმყოფი ვიყავი, მქონდა პროსტატისა და შარდის ბუშტის ავთვისებიანი სიმსივნე, მეოთხე სტადია. 2013 წლის თებერვალში სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფმა“ გამაგზავნა გურამ ქარაზანაშვილის კლინიკაში საოპერაციოდ. ვიყავი უმძიმეს მდგომარეობაში. ბატონმა გურამმა თავაზიანად მიმიღო, გამოიჩინა ჩემს მიმართ ყურადღება და გულისხმიერება, არადა, მას საერთოდ არ ვიცნობდი. ჩამიტარა გამოკვლევები, გამიკეთა ურთულესი ოპერაცია, რომელიც ექვს საათს მიმდინარეობდა. ოპერაცია ბრწყინვალე შედეგით დასრულდა და უკვე თითქმის ერთი წელია, თავს მშვენივრად ვგრძნობ. ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ მიმდინარეობს ასეთი აღვირახსნილი, შეურაცხმყოფელი ბრალდებები ისეთი შესანიშნავი პიროვნების მიმართ, როგორიცაა პროფესორი გურამ ქარაზანაშვილი. ის ხელმძღვანელობს კლინიკას, სადაც მუშაობენ ახალგაზრდა პროფესიონალი სპეციალისტები და ბატონი გურამი უშურველად გადასცემს მათ თავის ცოდნას და გამოცდილებას. ის შესანიშნავ თაობას უზრდის ქართულ მედიცინას, ამიტომაც მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ინფორმაცია მივაწოდო საზოგადოებას, რომ მის მიმართ გამოთქმული ბრალდებები არ შეესაბამება სინამდვილეს. მას აქვს ყველა ის დადებითი თვისება, რაც უნდა ჰქონდეს ექიმს, პიროვნებას. მან მე და ბევრ ჩემნაირ ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა და ცხოვრების ხალისი დაუბრუნა“, — განაცხადა ბატონმა ბუკა შენგელიამ.

ლადო ძირია,
ქ. ზუგდიდი

* * *

ძვირფასო რედაქცია!

ამ ბოლო ხანს ქართულ პრესაში იბეჭდება საშინელი წერილები საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ-უროლოგის გურამ ქარაზანაშვილის შესახებ. არ შემეძლო, გულგრილი დავრჩენილიყავი და რასაც ვფიქრობ, არ დამეწერა.

3 წლის წინათ სრულიად მოულოდნელად დედაჩემს აღმოაჩნდა თირკმლის სიმსივნე, რომელიც სასწრაფო ოპერაციას საჭიროებდა. მოგეხსენებათ, როგორც ხდება — დავიწყეთ საუკეთესო ექიმის ძებნა, ძალიან ბევრ დასტაქართან ვიყავით, მაგრამ ერთმა ფაქტმა გაგვაოგნა: თითოეული მათგანი როგორც კლიენტს, და არა პაციენტს, ისე აღგვიქვამდა. ნაკლებად ან საერთოდ არ აინტერესებდათ, რას ვგრძნობდით, რა ჩივილები გვქონდა. პირდაპირ იწყებოდა საუბარი ფულზე, დაფინანსებაზე, გადარიცხვაზე და ზოგადად ფინანსებზე. ეს ისეთი ამაზრზენი იყო, წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა. არ ვიცი, სხვა რას განიცდის ასეთ დროს, მაგრამ დედამ ყველა ექიმზე უარი თქვა.

და სწორედ ამ დროს გვირჩიეს, რომ არსებობდა არაჩვეულებრივი პროფესიონალი ექიმი — უროლოგი და პიროვნება გურამ ქარაზანაშვილი და მასთან მივსულიყავით.

შეხვედრის პირველი წუთიდან, შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოთ, ისეთი სითბო და ყურადღება ვიგრძენით. ურთულესი ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ბატონი გურამი და მთელი მედპერსონალი დღის განმავლობაში რამდენჯერმე შედიოდნენ თითოეულ ავადმყოფთან, საოცარი ყურადღებით და გულისხმიერებით ეკიდებოდნენ სულ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი. ბატონ გურამს ყველანი ღვთისნიერ კაცს ვეძახდით. არც ერთ პაციენტს, ჰქონდა მას ფინანსური საშუალება თუ არა, პრობლემები არ შექმნია.

და ახლა, როცა ამ წერილებს ვკითხულობ, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები მახსენდება: „დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნინთ, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

ბატონო გურამ! მოკრძალებით მინდა, მოგმართოთ: თქვენ მე დედის სიცოცხლე მაჩუქეთ. დარწმუნებული ვარ, ჩემნაირი, ალბათ, ძალიან ბევრია. თავს უფლებას მივცემ, ჩემი და მათი სახელით კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოგახსენოთ თქვენ და მთლიანად თქვენს კოლექტივს გულისხმიერებისთვის, პროფესიონალიზმისთვის, იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რასაც ჩვენ მიმართ იჩენდით და რაც დღემდე მოგვყვება.

ეკა მიქაუტაძე
ქ. ლაგოდეხი

◎ ამნეზია თუ ძალად პროგლემა?

ხელისუფლებას პოლიტიკურ ამნეზიაში ადანაშაულებენ. საქმე ისაა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივით, თვითმმართველი ქალაქების მერის არჩევისას ბარიერი 30-დან 40 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს. საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია კი ფიქრობს, რომ ბარიერი უფრო მაღალი უნდა იყოს, რადგან ჯერ კიდევ მაშინ, როცა კოალიციაში შემავალი პარტიები ოპოზიციაში იყვნენ, ისინი თავად მოითხოვდნენ ბარიერის 50 პროცენტამდე გაზრდას, რასაც იმჟამად ხელისუფლებაში მყოფი ნაცმოძრაობა არ თანხმდებოდა.

დღეს კი უკვე ღიად საუბრობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ თვითმმართველობის არჩევნებში 40-პროცენტიანი ბარიერის დაწესება დავით ნარმანიასთვის სჭირდება, რადგან დედაქალაქის მერად მისი კანდიდატურის შემთხვევაში, შესაძლოა, თბილისელთა სოლიდური რაოდენობა არ გამოცხადდეს არჩევნებზე.

უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი ფიქრობს, რომ 40 პროცენტი საკმაოდ მაღალი ბარიერია და, სავარაუდოდ, ისინი ამ პოზიციაზე შეჯერდებიან კიდეც.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ვიქტორ დოლიძე მერის არჩევისთვის აუცილებელი ბარიერის გაზრდის მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი განცხადებით, ამით თვითმმართველობის ორგანოების ლეგიტიმაცია გაიზრდება და დოგმა არ არის, რომ მაინცდამაინც 40 პროცენტი იყოს დაწესებული.

თბილისს მერს ბევრად მაღალი ლეგიტიმაცია სჭირდება

საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წარმომადგენელი ზაქარია ქუცნაშვილიც მერის არჩევისთვის 50-პროცენტიანი ბარიერის მომხრეა. მისი აზრით, რა თქმა უნდა, 40 პროცენტი 30 პროცენტზე მაღალია, მაგრამ იგი ვერც 50-პროცენტიან ბარიერში ხედავს ტრაგედიას.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ თავის დროზე დედაქალაქის მერის არჩევნებზე 50-პროცენტიანი ბარიერის დაწესებას „ქართულ დასთან“ ერთად „ქართული ოცნებაც“ მხარს უჭერდა, რადგან ნებისმიერი ტიპის არჩევნებში აუცილებლად ნახევარზე მეტმა უნდა აირჩიოს ადამიანი მერად, პრეზიდენტად თუ გამგებლად. თუმცა, ბაღათურია წუხს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პირადი შიშებით ნარმანიას მეტი ვერავინ გაიყვანა თბილისში.

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე ხელისუფლებისგან თვითმმართველ ქალაქებში მერის არჩევნებში 50-პროცენტიანი ბარიერის შემოღებას ითხოვს და ამასთან დაკავშირებით, კოალიციაში შემავალ პარტიებს 2010 წლის ინიციატივებს ახსენებს.

„ახლა თუ გაზომეს მერებისა და გამგებლების პოსტზე საკუთარი კანდიდატების შესაძლებლობები და გადაწყვიტეს იმის მიხედვით, თუ სად როგორი სიტუაციაა, ბარიერები დააწესონ, ეს არასწორია,“ — აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე არ გამორიცხავს, რომ თბილისში მუნიციპალურ არჩევნებში კიდევ უფრო ნაკლები ადამიანი მივიდეს, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებისას. გარდა ამისა, მისი თქმით, თბილისის მოსახლეობის დიდ ნაწილს ნარმანიას არათბილისური წარმომავლობა აღელვებს, ამიტომ „ოცნებაში“ შიშობენ, რომ მათმა კანდიდატურამ, შესაძლოა, ვერ გადალახოს 50-პროცენტიანი ბარიერი.

უკვე ცნობილია, რომ საქართველოს 12-ვე თვითმმართველი ქალაქის მერი, სავარაუდოდ, 40-პროცენტიანი ბარიერით აირჩევა. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და მმართველი გუნდის წევრებს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი. თუმცა, როგორი უნდა იყოს ქალაქის მერის არჩევის ბარიერი — 40 თუ 50 პროცენტი?!

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია For.ge-სთან საუბრისას იმ სამწუხარო ტენდენციაზე საუბრობს, რასაც ნაცმოძრაობის შემდეგ დღევანდელი ხელისუფლებაც იმეორებს და ცდილობს, სისტემები პიროვნებებს მოარგოს.

„ამიტომაც ჩნდება მერის არჩევნების საკითხში მოსაზრება, თითქოს ხელისუფლება ცდილობს, თავის კანდიდატურაზე მოარგოს საარჩევნო ბარიერი. ჩვენ ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ აქტივობა და მხარდაჭერის მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო. ასევე, დიდი შანსია, ხელისუფლების კანდიდატურა დამარცხდეს მერის არჩევნებში. ბარიერი უნდა იყოს ბევრად უფრო მაღალი, რომ არჩეული პირი იყოს მნიშვნელოვანი ლეგიტიმაციის მქონე და არა-„უბრალოდ არჩეული“. ხელისუფლება თითქოს ცდილობს, აი, ჩვენ 30 პროცენტიდან 40 პროცენტამდე ავწიეთ ბარიერი, მაგრამ დარგობრივი სპეციალისტების აზრით, ფარსია ბარიერის 10 პროცენტით აწევა, რადგან მერს უნდა ჰქონდეს უფრო მაღალი ხარისხის ლეგიტიმაცია. ამიტომ უფრო თამაშს წააგავს, როცა 30-დან 40 პროცენტამდე ასწიეს ბარიერი. თუმცა, პრობლემა არის არა თავად ამ პროცენტის მაჩვენებელში, არამედ დამოკიდებულებაში. ნარმანიაზე მორგებული საარჩევნო სისტემა არ არის სწორი პოლიტიკა, თორემ შეიძლება, აქ გარკვეული ვაჭრობა დაწყებულიყო პოლიტიკურ პარტიებთან, მათ შორის, არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებთანაც და საკითხი მიჩუმათებულიყო, მაგრამ ეს ტენდენცია რომ მეორდება, საგანგაშოა,“ — აცხადებს არჩილ გამზარდია.

მისი აზრით, თბილისის მერი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამიტომ მას ბევრად მაღალი ლეგიტიმაცია სჭირდება. აქ საუბარია ან 51 პროცენტზე, ან 50 პლუს ერთი ხმა, ანუ თბილისის მერი მოსახლეობის ნახევარზე მეტმა უნდა აირჩიოს.

რაც შეეხება დავით ნარმანიას კანდიდატურის შემთხვევაში, არჩევნებზე გამოცხადების სავარაუდო მაჩვენებელს, არჩილ გამზარდია განმარტავს, რომ თბილისელი იქნება თუ ნებისმიერი სხვა, არჩევნებზე მისი მისვლა თუ არმისვლა დაკავშირებული იქნება არა მერობის კანდიდატის წარმომავლობასა ან დაბადების ადგილთან, არამედ იმასთან, თუ ამ პოლიტიკურ ვითარებაში რამდენად ჩათვლიან საჭიროდ არჩევნებში მისვლას. უფრო მეტიც, თბილისელობის საკითხი არ იდგა მარგველაშვილის შემთხვევაში, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა, ორი მესამედი არჩევნებზე მაინც არ მივიდა. ამდენად ეს კანდიდატურებს კი არ უკავშირდება, არამედ-პოლიტიკურ პროცესებთან საზოგადოების დამოკიდებულებას გამოხატავს. თუ საზოგადოება თვითმმართველობის არჩევნებზე არ მივა, ეს იმიტომ მოხდება, რომ ამ პოლიტიკური რეალობის მიმართ გახდება გულგრილი, მიუხედავად იმისა, ხელისუფლების მხარეს იქნება თუ ოპოზიციის. ე.ი. თავისი არმისვლით ისინი ზოგადად პოლიტიკურ რეალობას გამოუცხადებენ პროტესტს.

„თბილისი საქართველოს დედაქალაქია, ამიტომ მერობის უფლება აქვს ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს. თბილისელობა რთული თემაა, ეს პირობითია, ადამიანი სადაც ცხოვრობს, იმ ქალაქის, სოფლის, დაბის ნაწილია. შეგვიძლია, თეორიულად ისიც დავუშვათ, დავით ნარმანია სპეციალურად ხომ არ არის წარმოდგენილი საიმისოდ, რომ, თუ ის დამარცხდება, ეს დააბრალონ მის წარმომავლობას, ამით საზოგადოებრივი დიფერენცირება მოაწყონ და ეს გაამართლონ მისი არათბილისელობით?! ან კიდევ, იმის გათვალისწინებით, რომ ნარმანია წარმომავლობით სამეგრელოდანაა, ხომ არ სურთ, ხელოვნურად რაიმე დაშორება შექმნან ნარმანიას, როგორც ინსტრუმენტის, გამოყენებით საზოგადოების ნაწილს შორის?! თუ ეს ასეა, მაშინ საგანგაშო მდგომარეობაში ვყოფილვართ,“ — აღნიშნა არჩილ გამზარდიამ.

თვითმმართველობის საკითხებში ექსპერტ სანდრო სვანიშვილისთვის საარჩევნო ბარიერად 40 პროცენტის დაწესება გაუგებარია.

„40 პროცენტიანი ბარიერი არც იქით არის, არც აქეთ და რას ნიშნავს, არ ვიცი. რატომ 40 პროცენტი და არა, ვთქვათ, 30 ან კიდევ 35 ? ეს ლოგიკაში ვერ ჯდება. თორემ არჩევნები ჩატარდება და, ვინც უმეტესობას მიიღებს (მათ შორის, ამ კანონის მიხედვით, არანაკლებ 40 პროცენტი უნდა მიიღოს), ის ჩაითვლება მერად. უკეთესი იქნებოდა, ან საერთოდ მოხსნილიყო უმრავლესობის პრინციპი, ან ყოფილიყო, როგორც იყო — 50 პროცენტს პლუს ერთი“, — აცხადებს სანდრო სვანიშვილი ჩვენთან საუბარში და არ მალავს, რომ ლოგიკური იქნებოდა 50-პროცენტიანი ბარიერის დაწესება.

მანანა ნოზაძე

ჩინეთი: სწორი დასკვნები ისტორიის გაკვეთილებიდან

წინა სტატიაში, რომელიც საბჭოური ცხოვრების გახსენებას მიეძღვნა, აღვნიშნე, რომ საბჭოთა კავშირი არ დაინგრეოდა ე.წ. ლიბერალები რომ არ გამოჩენილიყვნენ კომპარტიის რიგებში, განსაკუთრებით მაღალ და უმაღლეს პარტიულ თანამდებობებზე.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით ათასობით ტომი დაიწერა და მომავალშიც დაიწერება, მაგრამ ჭეშმარიტება ვერა და ვერ დადგინდება. ერთნი იტყვიან, რომ საბჭოეთი განწირული იყო, ვინაიდან მისი ეკონომიკა ვეღარ უზრუნველყოფდა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნებს; მეორენი დაგვიმტკიცებენ, რომ კომუნისტური მანქანა ვერც იდეოლოგიურად და ვერც ეკონომიკურად ვეღარ უპასუხებდა თანამედროვეობას; მესამენი – საბჭოთა კავშირი არ დაიშლებოდა, თვით შიგნით, ანუ მმართველობის ეშელონებში რომ არ გაჩენილიყო სახელმწიფო სისტემის არსებობის საწინააღმდეგო ბაცილა. სწორედ ამ ბაცილამ, სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელ წლებში, ბოლო მოუღო მსოფლიოს უდიდეს ქვეყანას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის სურვილით, დღიდან მისი გაჩენისა, მთელი მსოფლიო გამოდიოდა. და არა მარტო სურვილით, არამედ აქტიური ქმედებით. კაპიტალიზმის მტერი იდეოლოგიის მატარებელი საბჭოეთი, უდავოდ შიშს იწვევდა კაპიტალიზმში. ხუმრობა ხომ არ იყო საბჭოეთის წარმატებისთვის თვალის გასწორება?!

წარმატებები კი ნამდვილად არსებობდა, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, რის შესახებაც არაერთხელ დაიწერა იმჟამინდელი ცნობილი დასავლელი მწერლებისა და პუბლიცისტების მიერ. ისინი ხშირად სტუმრობდნენ საბჭოთა კავშირს და ყოველი ვიზიტის დროს ხედავდნენ წინა ვიზიტის შემდეგ განხორციელებულ წარმატებებს. საბჭოეთმა შეძლო ისეთი გიგანტური ნაბიჯების გადადგმა, რამაც ქვეყანა ღრმა ჩამორჩენილობიდან, მოწინავეთა რიგებში ჩააყენა.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში დასავლეთის მრავალი ქვეყანა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა. მაგალითად, აშშ. გავიხსენოთ ე.წ. „მშრალი კანონი“ (დალევ ჭიქა ალკოჰოლურ სასმელს – შენი ფეხით წახვალ ციხეში), მუშათა მოძრაობის ათასობით წარმომადგენლის დაპატიმრება, აშშ-დან გასახლება, ხოცვა. შემდეგ მაკარტიზმის პერიოდი და „კუდიანების“ დევნა, ანტისაბჭოური ისტერია.

ანალოგიური ვითარება იყო იტალიაში. და რომ არა მუსოლინი, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში, რკინის ხელით გაუსწორდა შუასაუკუნეების გადმონაშთებს, დღეს ეს ქვეყანა, შესაძლოა, დაქუცმაცებული, უსუსური ყოფილიყო. თვით იტალიელები, სრულიად ადეკვატურად აღიქვამენ იმ პოზიტიურს, რაც განხორციელდა დუჩეს მმართველობის დროს. სხვა მხრივ, შიდა პრობლემების გადაჭრა შეუძლებელი იქნებოდაო – ამბობენ ისინი, თუმცა, იმასაც არ ივიწყებენ, რა უბედურება მოუტანა ქვეყანას ფაშიზმმა.

ავიღოთ იაპონია, რომელიც მეიძის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, კაპიტალიზმის განვითარების გზას დაადგა. ეს სისტემა ფორმით, სამხედრონაციონალისტური დიქტატურა იყო – უმოწყალო რეპრესიებითა და ყოველგვარი, მცირედი სხვაგვარი აზროვნების ჩახშობით.

იმჟამინდელ იაპონიაში დემოკრატიის, პლურალიზმის, ადამიანის უფლებების ნიშანწყალიც არ იყო. იმპერატორის გაღმერთება, მის წინაშე მასობრივი მუხლმოდრეკა, ათასჯერ აღემატებოდა სტალინის პიროვნების კულტის პერიოდს.

ცნობისთვის: ამერიკელების მიერ იაპონიის ქალაქების ბირთვული დაბომბვის შემდეგაც, იაპონელებს თავში აზრადაც არ მოსვლიათ ჰიროჰიტოს ძეგლების ნგრევა, პრემიერ-მინისტრ ტოძიოს ლანძღვა, მარშალ ოიამას, ადმირალ იამამოტოს გაშავება. იაპონელები დღესაც ქედს იხრიან საკუთარი იმპერატორის და ყველა იაპონელი გმირის წინაშე, მათ შორის ტოგოს, კამიკაძეების და ა.შ. რატომ ხდება ეს? იმიტომ ხომ არა, რომ საკუთარის ლანძღვა, რა შეცდომაც არ უნდა ჰქონოდათ დაშვებული, არ შეიძლება, ვინაიდან მტრის წისქვილზე ასხამს წყალს?

საბჭოთა კომპარტიის ხელმძღვანელობით განხორციელებული აღმშენებლობა თვალშისაცემი იყო, მაგრამ მის რიგებში ჩაბუდებული ბაცილის წყალობით, კომუნიზმისა და კაპიტალიზმის მეტოქეობა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. ამ გზაზე ტრილიონობით ამერიკული დოლარი დაიხარჯა, როგორც კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსანთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა მოქრთამვის, ისე ანტისაბჭოური პროპაგანდისთვის.

მსოფლიოს თითო-ოროლა კომუნისტური სისტემის ქვეყანა შემორჩა, მათ შორის – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს, გამოცდილი პარტიული მუშაკის დენ სიაოპინის გადაწყვეტილებით, ჩინეთში დიდი გარდაქმნები განხორციელდა. კომუნისტურ სისტემაში გაჩნდა კერძო საკუთრება, რამაც იდეოლოგიურად კომუნისტური ქვეყანა, ეკონომიკური თვალსაზრისით კაპიტალისტურად გარდაქმნა.

ქვეყნის წინაშე ურთულესი პრობლემა იდგა – მილიარდნახევრიანი სახელმწიფოს გამოკვება, რასაც ჩინეთის ხელმძღვანელობამ, პრაგმატული მუშაობით გაართვა თავი. გაამართლა დენ სიაოპინის ლოზუნგად ქცეულმა გამონათქვამმა –„მნიშვნელობა არ აქვს, რა ფერისაა კატა, მთავარია თაგვებს იჭერდეს“.

თანამედროვე ჩინეთი, აშშ-ის შემდეგ, მსოფლიოს მეორე ეკონომიკა, წარმოუდგენელ წარმატებებს აღწევს არა მარტო ეკონომიკაში, არამედ მეცნიერებაში, კულტურაში, სპორტში, კოსმოსის ათვისების საქმეში, სამხედრო მშენებლობაში. ამას წინათ, სახელგანთქმული რუსი პიანისტი დენის მაცუევი ამბობდა, ჩინეთში 5 მილიონი პიანისტიაო.

ჩინეთმა არა მარტო შიმშილობის პრობლემა დაძლია, არამედ შეუდგა საშუალო ცხოვრების დონის მისაღწევი პროგრამის შესრულებას, რომელიც 2020 წლისთვის დასრულდება. ის, რომ ეს პროგრამა წარმატებული იქნება, ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან 1978 წლიდან დაწყებული ყველა პროექტი ჭარბი წარმატებით განხორციელდა.

სახელმწიფოში გატარებული კარდინალური გარდაქმნების ავტორი და მთავარი წარმმართველი, ჩინეთის კომუნისტური პარტია იყო და არის. კომუნისტური სისტემა უცვლელია, ისე, როგორც მის მიერ ამორჩეული ეკონომიკური ცხოვრების გზა.

ჩინეთის კომპარტია რახანია სერიოზულად იხილავს საბჭოთა კავშირის კპ დაშლის მიზეზებს. ამ საქმეში ჩართული არიან ჩინელი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. გაშლილია ფართომასშტაბიანი საქმიანობა, რის მიზანიცაა პარტიაში არ დაუშვან კადრების ლიბერალიზაცია, აქეთ-იქით გადახრა-გადმოხრა. პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ხდება დოკუმენტური ფილმის დემონსტრირება, რომელშიც ასახულია საბჭოთა სისტემის თანდათანობითი დასუსტების პროცესი.

ჩინელთა მიხედვით, კომპარტიის დაშლის მთავარ დამნაშავედ მიხეილ გორბაჩოვი და მისი თანამოაზრეები არიან. ზოგი თვლის, რომ საბჭოთა სისტემის კრიზისი მაშინ დაიწყო, როდესაც კრემლმა, ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში, არ განახორციელა რეფორმები.

ფილმი ექვსნაწილიანია, სადაც ასახულია საბჭოთა კავშირის სიძლიერე და წარმატებები, ამასთანავე მოგვიანებით გაჩენილი უწესრიგობა და ა.შ. ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები მოუწოდებენ დოკუმენტური ფილმის მნახველებს, სწორი დასკვნები გამოიტანონ ისტორიის გაკვეთილებიდან.

მაინც რაში გამოიხატება ისტორიის გაკვეთილები? საბჭოთა კავშირი დაიშალა არა იმიტომ, რომ სუსტი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგია, არამედ იმიტომ, რომ მას განუდგნენ, უპირველესად მიხეილ გორბაჩოვი და მისი თანამოაზრეები.

ფილმის დემონსტრირება შემადგენელი ნაწილია იმ ფართომასშტაბიანი კამპანიისა, რომელიც წამოიწყო ჩინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა სი ძინპინმა. მისი მიზანია, პარტიაში დისციპლინის განმტკიცება, პარტიული კადრების დარწმუნება, რომ საჭიროა ბრძოლა იდეოლოგიური საფუძვლების სიწმინდისთვის, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მაო ძედუნის, სხვა პარტიული ხელმძღვანელების, ძველი თაობის პარტიული მოღვაწეების დროს.

დასავლელი ექსპერტების მიხედვით, ფართომასშტაბიანი კამპანია გამოწვეულია აშშ-ის ძირგამომთხრელი მუშაობის გამო. ჩინელი კომუნისტების მიხედვით, ამერიკელებს შემუშავებული აქვთ კომპარტიის დამხობის გეგმა – მშვიდობიანი რევოლუციის გზით, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ჩინურ საზოგადოებაში დასავლური ღირებულებების გავრცობა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, სამეცნიერო წრეებისა და პოპ-კულტურის მეშვეობით.

ჩინეთის კომპარტიის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს მმართველობის ცვლის ათწლიანი ციკლი, რაც ყოველ ათ წელიწადში კომპარტიისა და სახელმწიფო მმართველობის რგოლების შეცვლას ნიშნავს.

2012 წლის ნოემბერში განხორციელდა მორიგი ცვლა. გენერალურ მდივნად და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გამოცდილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე სი ძინპინი, პრემიერ-მინისტრად ლი კეციანი. შეიცვალნენ სახალხო კრების წევრები და თავმჯდომარე. შეიცვალნენ ყველა ისინი, ვინც გასული 10 წლის განმავლობაში იყვნენ მაღალ თანამდებობებზე.

დღევანდელი ჩინეთის პარტიული თუ სახელმწიფო მუშაკები ქუჩიდან არ აურჩევიათ, ისინი წინა 10-წლიანი მმართველობითი ციკლის აქტიური შემოქმედნი იყვნენ. ისინი ე.წ. ტრენაჟს გადიოდნენ, სახელმწიფო მართვაში. მათი საქმიანობა, პირადი ცხოვრება პერმანენტული დაკვირვების ქვეშ იყო. პარტია აკვირდებოდა სამომავლო მაღალი თანამდებობის კადრებს, აფასებდა მათ შრომას, შესაძლებლობას, გამოჰქონდა დასკვნები – რამდენად შესაძლებელი იყო მათთვის მაღალი თანამდებობების მინდობა.

2012 წლის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საბაზრო ეკონომიკის გაფართოების და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების მიღება არცთუ იოლი იყო, ვინაიდან ჩინეთის კომპარტიაში არსებული მემარცხენე ძალები ამტკიცებდნენ, რომ პრიორიტეტი სახელმწიფო სექტორს უნდა ჰქონოდა. ამგვარი მიდგომა პოპულარულია იმათში, ვინც აღშფოთებულია შემოსავლების დიდი სხვაობით და მოხელეთა გამდიდრებით.

სი ძინპინს სურს, ყველას დაანახოს, რომ საბაზრო ეკონომიკური გარდაქმნები ერთია, ხოლო პოლიტიკური – სხვა, რომ პარტია არ დაუთმობს ლიბერალებს, ამიტომაც მედიასა და ინტერნეტში შემოღებულია აკრძალვა ისეთი თემების განხილვაზე, როგორიცაა კონსტიტუციის რეფორმა, ხელისუფლების დაყოფა, დემოკრატიზაცია.

კომპარტიის ამოცანაა, ფართო საზოგადოებას შეაგნებინოს, რომ ჩინეთში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ისეთ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ და არიან გორბაჩოვი, ელცინი, სხვები. სი ძინპინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კომპარტიის კრახის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო – იდეოლოგიური მუშაობის ჩავარდნა.

ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის აქტიური მუშაობა – მიმართული პარტიული მუშაკების თვითშეგნების ამაღლებაზე – მუდმივი პროცესია, რომლის ოდნავი მოდუნება, პარტიისა და ქვეყნის რღვევის მომასწავებელი იქნება. ასეთი მოდუნება უკვე იყო. მაშინ დენ სიაოპინს ტიანანმენზე ტანკების გამოყვანა დასჭირდა. რომ არა მკაცრი გადაწყვეტილება, ვინ იცის, რა ვითარება იქნებოდა ჩინეთში და არა მარტო იქ, არამედ მთლიანად რეგიონსა და მსოფლიოში.

ჩინეთი იუგოსლავია არ არის, თუმცა, მისმა დაშლამ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მართალია, საბჭოეთის დაშლა სისხლიანი რევოლუციით არ მომხდარა, მაგრამ დაშლით გამოწვეულმა ვითარებამ, ეთნიკურმა კონფლიქტებმა, ველური კაპიტალიზმით გამოწვეულმა გაუსაძლისმა პირობებმა ასეულ-ათასობით ადამიანი გაისტუმრა საიქიოს.

სამწუხაროდ, დასავლეთში არსებულ გარკვეულ ძალებს, რომელთა უმთავრესი დევიზია – რაც უარესი, მით უკეთესი, თავიანთ პროგრამაში როგორც ჩინეთის, ისე რუსეთის დაშლა აქვთ ჩაფიქრებული. ეს ძალები აქტიურად მოქმედებენ, თუმცა, ჯერჯერობით უშედეგოდ, მაგრამ სახელმწიფოებრივი მართვის მანქანის ოდნავი შეფერხება, მათ წისქვილზე მიუშვებს წყალს. ეს კარგად იციან პეკინში, ამიტომაც, ის ცდილობს, წინ აღუდგეს სავარაუდო მოვლენებს. **ამ მხრივ რუსეთისთვის სასარგებლო იძნებოდა ჩინური გამოცდილების გაზიარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ აცდება იმ შავი მიზნების განხორციელებას, რასაც აშშ-ის გარკვეული წრეები ისახავენ.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ანაკლია აშენდება!

მოსაწონი იდეა გაუთვლელი ეკონომიკური შედეგებით

ანაკლიის პორტის მშენებლობის ირგვლივ უამრავი ჭორ-მართალია აგორებული. წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ანაკლიის პროექტი ახალმა ხელისუფლებამ მხოლოდ იმიტომ ჩაკლა, რომ ეს სააკაშვილის გუნდის ინიციატივა იყო. პირად შუღლს გადააყოლეს ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესებიო, — წამდაუწუმ იმეორებენ.

მათ საპასუხოდ კი, ოპონენტები ამბობენ, რომ ყველაზე ნაკლებად სწორედ ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესები იყო გათვალისწინებული პროექტში. „ოცნება“ მიიჩნევს, რომ პორტის მშენებლობაში ნაკლებად იყო გათვალისწინებული ნავსადგურიდან მოსალოდნელი უკუგება. ანაკლია რაღაც კონტექსტიდან ამოვარდნილ, ცალკე არსებული ობიექტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თავისთავად იდეა ივანიშვილის გუნდისათვის მაშინაც და მისი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც მოსაწონი და მისაღები იყო და არის.

მათ საჭიროდ მიაჩნდათ პროექტის კიდევ უფრო დახვეწა და ამ მიზეზის გამო მხოლოდ შეაჩერეს სამუშაოები. პროექტის უგულებელყოფა აზრადაც არავის მოსვლია, — ამტკიცებენ საპარლამენტო უმრავლესობაში.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ ანაკლიაში ახალი პროექტით იგეგმება არა მარტო პორტის, არამედ ლოჯისტიკური ცენტრის, საწარმოო ზონის, საერთაშორისო აეროპორტისა და სხვა მსხვილი ობიექტების მშენებლობა-ამოქმედება. მინისტრის გადმოცემით, ყველაფერი ეს თანხვედრაში უნდა იყოს საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტთან, რაზე მუშაობაც პორტის პარალელურად მიმდინარეობს.

თანაინვესტირების ფონდის გენერალური დირექტორის გიორგი ბაჩიაშვილის გადმოცემით, ანაკლიის მოდერნიზებული პორტის მშენებლობის გეგმა უკვე არსებობს. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოების ღირებულების დაწვრილებითი გაანგარიშება. ბაჩიაშვილი ამბობს, რომ წინასწარი მონაცემებით მთლიანი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად დაახლოებით 2 მლრდ დოლარი იქნება საჭირო.

პროექტის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობას ერთადერთ ოპერატორად ამერიკული საინვესტიციო ჰოლდინგი „კონტი ჯგუფი“ მიაჩნია. მისი ხელმძღვანელობა საქართველოს მთავრობის წევრებს უკვე შეხვდა. ამ ჯგუფს მსგავსი პროექტების განხორციელების 100-წლიანი სტაჟი აქვს. მისი პრეზიდენტი კურტ კონტი ქვეყნის მთავრობასთან მოლაპარაკებების შემდეგ, რამდენიმე დღის წინათ გაფრინდა სამშობლოში.

სპეციალისტები, ექსპერტები, იმ განცხადებებს ოპოზიციის ბრალდებებს, თითქოსდა ახალმა ხელისუფლებამ ანაკლიის პროექტი მათ ჯიბრზე დაასამარა, არასერიოზულად მიიჩნევენ, რადგანაც პორტს, რომელსაც პერსპექტივაში 180-200 მლნ ტონა ტვირთის გადამუშავება შეეძლება წელიწადში, არც ერთი ჭკუათმყოფელი პოლიტიკოსი, ბიზნესმენი არ გამოუტანდა სასიკვდილო განაჩენს. სპეციალისტების დაანგარიშებით, ანაკლიის პორტს პერსპექტივაში შეეძლება ბათუმის, ფოთის, ყულევისა და სუფსის პორტების ერთად აღებულის, რამდენჯერმე მეტი ტვირთის გადამუშავება.

ანაკლიის პორტის კიდევ ერთ უპირატესობაზე ამახვილებენ ყურადღებას ექსპერტები. ანაკლიაში გადის შავი ზღვის ყველაზე დიდი წყალქვეშა კანიონი. ზუსტად ამ ადგილებში მისი სიღრმე 20,5 მეტრია. მაშინ, როდესაც ბათუმში 14 მეტრია, ხოლო ფოთში 8,5 მეტრი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანაკლიის პორტში შესვლა შეეძლებათ დიდი ტვირთმზიდაობის („დედვეიტი“) ხომალდების, რომელთა ტვირთამწეობა 150 ათას ტონაზე მეტია. ამასთან ერთად, სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ საქართველოში ვერც ერთი პორტი ვერ იქნება ისეთი ფუნქციური, როგორც ანაკლიაა. თუ მას შევადარებთ, მომავალში ასაშენებელი პორტი ბევრად უფრო პერსპექტიულია, რადგანაც ფოთის პორტი რეკონსტრუქციას არ ექვემდებარება, მისი შემდგომი გაფართოება შეუძლებელია. მსგავსი პრობლემები აქვთ სხვა პორტებსაც.

მიუხედავად ანაკლიის პორტის უდიდესი პერსპექტივების არსებობისა და მისგან მაქსიმალური ეკონომიკური უკუგების შესწავლის მიმდინარეობისა, ნაცების უპორტფელო ლიდერი მიშა სააკაშვილი მაინც თავისას გაჰკივის. იგი აცხადებს, რომ მისი ზეობის დროს, ყველა ნიუანსი თავიდან ბოლომდე იყო გათვლილ-გაანგარიშებული. პორტისა და მისი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად ბიუჯეტში 200 მლნ ლარი იყო გადანახული, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ეს თანხა გასცა უფასო ხვნა-თესვაზე და სხვა პროექტებზეო, ექსპერტები, სპეციალისტები „ჩვენი მაღალის“ (ტერმინს დავესესხები მაესტროს ერთ-ერთ შოუს წამყვანს ვასიკო ოდიშვილს) სიტყვებს თავიანთი მოსაზრებების განსამტკიცებლად იყენებენ, როცა აღნიშნავენ, რომ ექსპრეზიდენტის გამოყოფილი 200 მლნ მხოლოდ პორტს უნდა მოხმარებოდა. არ იგულისხმებოდა უფრო ფართო პროექტი... „მიშა 2 მილიარდიდან 200 მლნ-მდე დამდაბლდა“ — ასკვნიან, როდესაც ბიძინა ივანიშვილის პროექტს ადარებენ სადაც, ფაქტობრივად, ხდება 4 სატრანსპორტო საშუალების (საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო, საჰაერო) კონცენტრირება ერთ ადგილზე, რასაც ნედლი ნავთობის მილგაყვანილობაც დაემატება. პორტის მშენებლობის კვლევითი სამუშაოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 მლნ დოლარის ეკვივალენტი ლარებშია გამოყოფილი.

სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტები კი ამჯერად უკვე უცხოეთში ლაშქრობისთვის გადახვეწილ ყოფილ პირველ პირს შეახსენებენ, რომ ხვნა-თესვისთვის მიშას „გადანახული“ (თუ იყო ასეთი) 200 მლნ-ისათვის ხელი არავის არ უხლია. არც ბიუჯეტიდან აუღიათ. ამ პროგრამისათვის თანხები „სოფლის მეურნეობის მილიარდიანი ფონდიდან გამოიყო. „ფონდში“ კი ეს ფული ბიძინა ივანიშვილმა ჩარიცხა.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

გიორგი ვაშაძეს დაკისრებული 50 ათასი ლარის გადახდა არ უნდა!

თბილისის **საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დეპუტატ გიორგი ვაშაძისთვის ბიზნესმენ ჯოზეფ ქეის სასარგებლოდ 50 000 ლარის დაკისრების გადაწყვეტილება გააუქმა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დეპუტატ გიორგი ვაშაძის ადვოკატმა ქეთევან ზანდუკელმა განუცხადა, გადაწყვეტილება სასამართლომ დაცვის მხარის არგუმენტაციის წარდგენის შემდეგ მიიღო.

— ჯოზეფ ქეის სარჩელზე მოსამზადებელი სხდომა 13 დეკემბერს გაიმართა, რომელზეც მე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ გამოვცხადდი. ეს გახდა იმის საფუძველი, რომ სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გიორგი ვაშაძეს მორალური ზიანის ანაზღაურება და გავრცელებული ცნობების უარყოფა დააკისრა. ამის შემდეგ ჩვენ გადაწყვეტილება გავასაჩივრეთ, ვინაიდან სახეზე იყო საპატიო მიზეზი — ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლომ ეს საპატიო მიზეზი გაითვალისწინა, მის მიერვე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გააუქმა და შესაბამისად, მოგვეცემა საშუალება, გამოვიყენოთ ჩვენი საპროცესო უფლებები, ვიდავოთ აღნიშნულ საკითხზე და დავადასტუროთ, რომ გიორგი ვაშაძის განცხადებაში არ არის ცილისმწამებლური ცნობები და ეს მისი პირადი მოსაზრებაა, — განაცხადა ქეთევან ზანდუკელმა.

ადვოკატის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება გიორგი ვაშაძისთვის 50 ათასი ლარის დაკისრება დაცვის მხარის გამოუცხადებლობამ განაპირობა.

— ვინაიდან დადასტურდა, რომ გამოუცხადებლობას ჰქონდა საპატიო მიზეზი და სასამართლოს წარვუდგინეთ შესაბამისი მტკიცებულებები, სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გააუქმა, — აღნიშნა ქეთევან ზანდუკელმა.

აღნიშნულ საქმეზე მორიგი სასამართლო პროცესი თებერვალში გაიმართება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 13 დეკემბერს, საქმეზე — ჯოზეფ კეი გიორგი ვაშაძის წინააღმდეგ, გიორგი ვაშაძის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის საფუძველზე, მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ჯოზეფ ქეის სარჩელი დააკმაყოფილა.

კერძოდ, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, დეპუტატ გიორგი ვაშაძეს ბიზნესმენ ჯოზეფ ქეის სასარგებლოდ 50 000 ლარის გადახდა დაეკისრა. გიორგი ვაშაძემ ჯოზეფ ქეის საერთაშორისო თაღლითი უწოდა, რაც ქეის საჩივრის მიზეზი გახდა.

საგამოძიებო სამსახური კეზერაშვილის მეუღლის კომპანიების შემოწმების მიზეზებს განმარტავს

ფინანსთა **სამინისტროს საგამოძიებო სამსახური დავით კეზერაშვილის მეუღლის კომპანიის შემოწმების მიზეზებს განმარტავს. როგორც ცნობილია, კეზერაშვილის ცოლის კომპანიაში „პრემი“ და სამშენებლო კომპანიაში „ოლივდიზაინი“ ფინანსური პოლიცია გუშინ შევიდა. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიიდან“ თანხების უკანონო გადარიცხვასთან დაკავშირებით, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2013 წლის 31 დეკემბრის №11ა/10154 განჩინების საფუძველზე მიმდინარეობს კომპანია „პრემის“ და სამშენებლო კომპანია „ოლივდიზაინის“ საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოღება, ამ უკანასკნელში 50%-იანი წილის მფლობელად ფიგურირებს დავით კეზერაშვილის მეუღლე სოფიო ჩიქოვანი“, — აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

ინტერპრესი

ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „სააკაძე 2007“ დამფუძნებელთა კრების ოქმი

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2013 წელი

2013 წლის 24 დეკემბერს შედგა ამხანაგობა „სააკაძე 2007“-ის დამფუძნებელთა საერთო კრება.

კრებას ესწრებოდნენ ამხანაგობა „სააკაძე 2007“-ის ამხანაგობის წევრები და მათი დამფუძნებლები: ნატალია ბურდიაშვილი, კონსტანტინე ბერიკაშვილის წარმომადგენელი სვეტლანა ბერიკაშვილი, ჯუმბერ დათუაშვილი, ლუსია სეთურიძე, ჟანნა ბეჟანიშვილის წარმომადგენელი ირინა ახვლედიანი, თამარ მინაშვილი, ეკატერინე და ელენე ოთარაშვილების წარმომადგენელი ხათუნა საყვარელიძე.

კრების თავმჯდომარე ჯუმბერ დათუაშვილი

კრების მდივანი ნატალია ბურდიაშვილი

კრების თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო დღის წესრიგი, კერძოდ, ამხანაგობის წევრის ზაზა რაზიკაშვილის ამხანაგობიდან გარიცხვის საკითხი.

კრებამ დღის წესრიგი დაამტკიცა ერთხმად.

თავმჯდომარემ კრებას მოახსენა, რომ ამხანაგობის დაფუძნების შემდეგ ამხანაგობაში შემოვიდა ზაზა რაზიკაშვილი პ/ნ 01026008348, რომელიც იმ დროისათვის წარმოადგენდა სამშენებლო ჯგუფ ოლიმპიურ ვარსკვლავს. მისი მხრიდან უნდა მომხდარიყო მშენებლობის წარმოება და დასრულება, მიუხედავად ამისა, ზაზა რაზიკაშვილმა, რომელმაც მოიპოვა ერთპიროვნული მმართველობა ამხანაგობაზე, ხელი შეუშალა ამხანაგობას დასახული მიზნის მიღწევაში. კერძოდ, 2008 წლიდან მართვის უფლების ჩამორთმევამდე (2011 წლის 03 დეკემბრამდე) არანაირი პროგრესი მშენებლობისა არ განხორციელებულა. მისი ხელმძღვანელობით გამოწვეული ქმედებების გამო ამხანაგობას წარმოეშვა არაერთი სადავო საკითხი, როგორც სახელმწიფო ორგანოებთან, ისე კერძო პირებთან, რისი გამოსწორებაც უხდება ამხანაგობის ახლად არჩეულ თავმჯდომარეს. მისი ამხანაგობაში ყოფნა უმოქმედობისა და საზოგადოდ ჩამოყალიბებული იმიჯის გამო ხელს უშლის ამხანაგობის ახალ ხელმძღვანელობას ინვესტორების მოძებნაში და საერთო მიზნის მიღწევაში.

ამხანაგობის წესდების მე-13 მუხლის 5.1. პუნქტი ითვალისწინებს ამხანაგობის წევრის გარიცხვის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ ამხანაგობა აფიქსირებს, რომ ზაზა რაზიკაშვილმა ამხანაგობას მიაყენა ასევე მატერიალური ზიანი, რომლის ზუსტი დაანგარიშება მოხდება და შესაბამისი მოთხოვნა წაეყენება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

კრებამ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:

წესდების მე-13 მუხლის 5.1. პუნქტის თანახმად გარიცხული იქნას ამხანაგობის წევრი ზაზა რაზიკაშვილი პ/ნ 01026008348 ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „სააკაძე 2007“ რიგებიდან.

დამფუძნებლები: — ხელმოწერები

დაფიქსირებულია და დამოწმებულია ნოტარიულად.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს ექსპრემიერის ოჯახს არ სჯერა მისი გარდაცვალების ოფიციალური ვერსიისა...

ექსპერტიზას საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ცხედრისა, რომელიც 2005 წლის თებერვალში ოფიციალური ვერსიით, მხუთავი გაზისგან დაიღუპა, აპირებენ ლოზანის რადიოლოგიის ინსტიტუტში. საქართველოს მთავრობის ექსხელმძღვანელის ოჯახი მზად არის ესგუმაციისთვის. შარშან შემოდგომაზე იქვე, შვეიცარიაში, გამოიკვლიეს პალესტინის ავტონომიის ყოფილი ხელმძღვანელის იასირ არაფატის ნეშტი, რის შემდეგაც განაცხადეს მისი შესაძლო მოწამვლის შესახებ პოლონიუმით.

— ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი საგამოკვლეო მოქმედებისთვის, რათა სიმართლე დავადგინოთ, — განაცხადა ჩვენთან საუბარში დაღუპული პრემიერის ძმამ, დეპუტატმა კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გიორგი ჟვანიამ. **— გამოძიება მიმდინარეობს აქტიურად და იქნება, ვფიქრობთ, ხანმოკლე.**

საქართველოს ახალ ხელისუფლებას პრესტიჟის საქმედ მიაჩნია უპასუხოს ყველა შეკითხვას ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაადასტურა, რომ მთავარი პროკურატურა „ინტენსიურად მუშაობს ამ მიმართულებით“. ჟვანიას საქმის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად შეიქმნება სპეციალური კომისია. მიმდინარეობს კონსულტაციები, რათა მის მოქმედებაში ჩაერთოს ცნობილი შვედი სამართალდამცველი თომას ჰამერბერგი, ევროსაბჭოს ყოფილი კომისარი ადამიანის უფლებების საკითხში, რომელიც უკვე დიდი ხანია თანამშრომლობს „ქართულ ოცნებასთან“.

ზურაბ ჟვანიას და ქვემო ქართლის რეგიონის ვიცეგუბერნატორის რაულ უსუპოვის ცხედრები აღმოაჩინეს თბილისში 2005 წელს კონსპირაციულ ბინაში. ყოფილმა ხელისუფლებამ გამოკვლევაში ჩართო გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტები. გამოცხადდა, რომ ჟვანია და უსუპოვი მოიწამლნენ მხუთავი გაზის ირანული წარმოების უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევით დაყენებული გამათბობელით. თუმცა, ამერიკელი სპეციალისტების დასკვნა დღემდე ეჭვს იწვევს: იყო კი განაბინაში გაზის კონცენტრაცია ისეთი, რომ ლეტალური შედეგი გამოეწვია?

— არანაირი საფუძველი — ეჭვი შევიტანოთ გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიაში, არ არსებობს,— აცხადებს ყოფილი დეპუტატი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ხათუნა გოგორიშვილი, რომელიც იცნობს საქმის მასალებს.

ანალოგიური თვალსაზრისისაა მეორე დეპუტატი — „ნაციონალი“ მიხეილ მაჭავარიანიც.

— ახალი ხელისუფლება დაპირდა საზოგადოებრიობას, რომ გადასინჯავდა ჟვანიას საქმეს და ახლა ეძებენ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. ექსპერტიზა არაფერ ახალს არ მოიტანს, — უთხრა მან ჩვენს გაზეთს.

მაგრამ ამგვარ განცხადებებს არ ეთანხმებიან დაღუპული პრემიერის ოჯახში. გიორგი ჟვანია დარწმუნებულია, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, აგრეთვე მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა და პარლამენტის ამჟამინდელმა ვიცესპიკერმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიიდან გიორგი ბარამიძემ მოაწყვეს ყოფილი პრემიერის დაღუპვის ვითარების ინსცენირება. ახლა კი გამოჩნდა ახალი დადასტურებანი და სამხილები, რომლებიც ნათელს მოჰფენენ მომხდარ ამბავს.

თუ გვამების ექსპერტიზა რაიმე მიზეზის გამო ვერ მოეწყობა შვეიცარიაში, არის ალტერნატიული ვარიანტი — გააკეთონ ეს ისრაელში.

ამ დროს საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ეუთოში აპირებენ განიხილონ ასამბლეის ქართულ წარმომადგენლობაში „ზურაბ ჟვანიას კუთხის“ გახსნის შესაძლებლობა. საქმე ისაა, რომ ჟვანია, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე, 1999 წლის იანვარში, როდესაც საქართველო პირველი ამიერკავკასიის ქვეყნებიდან მიიღეს ევროსაბჭოში, სტრასბურგში წარმოთქვა ფრაზა, რომელიც ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მისწრაფებების სიმბოლოდ ითვლება: **„მე ქართველი ვარ, მაშასადამე — ევროპელი!“.**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◎ საინტერესო ამბების სამყაროში

პრინცი ჩარლზი თავის პენსიას საქველმოქმედოდ გადასცემს

უელსის პრინცმა ჩარლზმა გადაწყვიტა თავისი პენსია, რომელიც მას უახლოესი დღეებიდან უნდა გადაუხადონ, გადასცეს საქველმოქმედო მიზნებისთვის. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრემ, რომელმაც საპენსიო ასაკს — 65 წელს — 14 ნოემბერს მიაღწია, უკვე მოაწერა ხელი ამისთვის საჭირო ქაღალდებს.

კანონით პრინცმა კვირაში უნდა მიიღოს 110 გირვანქა სტერლინგი და 15 პენსი (დაახლოებით 175 დოლარი). ამ ფულს ჩარლზი გადასცემს გაჭირვებულ პენსიონერებს. მიმღებთა სია ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებიათ. არ არის დაზუსტებული კერძოდ რამდენ ხანდაზმულ ადამიანს უნდა დაეხმაროს ელისაბედ II-ის ვაჟი.

თავის დაბადების დღეს პრინცი ჩარლზი ინდოეთში შეხვდა, შემდეგ კოლომბოში გაემგზავრა, სადაც დედოფალს წარმოადგენდა ერთა თანამშრომლობის მთავრობათა ხელმძღვანელების შეხვედრაზე (ელისაბედ მეორემ, პირველად უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში, გამოტოვა ღონისძიება). პრინცის კომპანიას მოგზაურობაში მისი მეულლე კამილა პასკერ ბოულზი წარმოადგენს.

პრინცი ჩარლზი ბრიტანეთის ტახტის მამრობითი სქესის ყველაზე ხანდაზმული მემკვიდრეა. იმ შემთხვევაში, თუ ის უახლოეს პერიოდში ავა ტახტზე, ამით დაამხობს ბრიტანელი მონარქების ასაკობრივ რეკორდს: ვილჰელმ IV გახდა მეფე 64 წლისა და 10 თვის ასაკში. ამ დროს ასაკის აბსოლუტური რეკორდი დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეებისა ეკუთვნის სოფია ჰანოვერელს, რომელიც 83 წლის ასაკში გარდაიცვალა და კორონაციას ვერც მოესწრო.

იაპონიაში გასაყიდად გამოიტანეს 5 მილიონი დოლარის ღირებულების საშობაო ნაძვის ხე

ხე, რომელიც შექმნა ერთ-ერთმა საიუველირო კომპანიამ, შესრულებულია ოქროთი და მორთულია დისნეის მულტფილმების გამოსახულებებით. სადღესასწაულო ოქროს ნაძვის ხის სიმაღლე 2,4 მეტრია. ხე 43 კილოგრამს იწონის.

43-კილოგრამიანი ხის გარდა კომპანიამ ასევე გამოიტანა გასაყიდად მინიატიურული და შედარებით იაფიანი ნაძვის ხეები: მინი — ხე 400 გრამი ვერცხლით და 127 გრამი ოქროთი დაჯდა 1,62 მილიონი იენი (დაახლოებით 16 ათასი დოლარი). ნაძვის ძის სიმაღლე 20 სანტიმეტრია.

ოქროს ნაძვის ხე გამოუშვეს ახალი წლის დღეებთან დაკავშირებით, თუმცა, იგი ეძღვნება არა იმ დღეებს, არამედ მიკი მაუსის დაბადების დღეს. დისნეის ამ პერსონაჟმა ეკრანზე დებიუტი გაითამაშა 1928 წლის 18 ნოემბერს. თაგუნას დაბადების არაოფიციალურ თარიღად კი, ამ დროს, 1928 წლის 15 მაისი ითვლება, როდესაც იგი მუნჯ მულტფილმში გამოჩნდა.

იაპონელებს ადრეც გამოჰქონდათ ოქროს ნაძვის ძე. მაგალითად, 2008 წელს გასაყიდად გამოვიდა პატარა საშობაო ნაძვის ხე, რომლის ღირებულებაც დაახლოებით მილიონ-ნახევარი დოლარი იყო.

როდის დადგება ქვეყნიერების დასასრული?

2012 წელს „მაიას არშემდგარმა აპოკალიფსმა“ ეს კითხვა ღიად დატოვა.

ყველაზე სავარაუდო დრო გლობალური კატასტროფისთვის — ესაა პერიოდი 2020-დან 2040 წლამდე. მიღებული იქნება ტექნოლოგიები, რომლებზე კონტროლიც შეიძლება ადამიანმა დაკარგოს. რასაკვირველია, არ არის სავალდებულო, რომ ყველაფერი მასობრივი დაღუპვით დამთავრდეს— ხალხი შეიძლება გადარჩეს კიდეც, მაგრამ მოხდება დეგრადირება ან აღმოჩნდება დამოკიდებული. სამყაროს დასასრულის ალბათობა ამ პერიოდში — 50 პროცენტია.

სამყაროს დასასრულის თემაში არ არის არანაირი მისტიკა, არამედ ეს არის რეალური საფრთხე კაცობრიობისთვის. ვთქვათ, რისკი დავიღუპოთ ასტეროიდისგან არ არის ძალიან დიდი. აი, ბირთვული კატასტროფა სავსებით შესაძლებელია. ერთ-ერთი სცენარია — დიდი წყალბადის ბომბი კობალტი— 59-ის გარსით. ასეთმა ბომბმა მიიღო სახელწოდება „განკითხვის დღის მანქანა“. ამ იარაღის შექმნა ჯერ არ მომხდარა, თუმცა თეორიულად ეს შესაძლებელია.

მაგრამ მთავარი რისკები დაკავშირებულია ხელოვნური ინტელექტის, ნანოტექნოლოგიებისა და ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან. არის ჰიპოთეტური სცენარი სახელწოდებით „რუხი ლორწო“. უმართავი ნანორობოტები, როდესაც დაიწყებენ თვითგამრავლების პროგრამის შესრულებას, შთანთქავენ დედამიწის ბიომასას, ჩაყლაპავენ მთლიანად ყოველივე ცოცხალს, მიიჩნევენ ფუტუროლოგები, გლობალური რისკის მკვლევარები. დიდი შესაძლებლობები აქვს ბიოტექნოლოგიას. უკვე ახლა შეიძლება ამით მანიპულირება, როგორც იტყვიან, სახლში, მინი-ლაბორატორიაში. ბევრი სახიფათო ვირუსის გენეტიკური კოდები (მაგალითად, გრიპი „ისპანკა“, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში 100 მილიონი ადამიანი შეიწირა) გადმოცემულია ინტერნეტში.

უცხოპლანეტელებისა არ უნდა გვეშინოდეს, თუ ვინმე გაანადგურებს კაცობრიობას, ეს თავად დედამიწელები არიან.

რაგომ ვართ ასე ღარიბები, თუ ასე ჭკვიანები ვართ?

უნარი — გამოიმუშაო ფული, სავსებით განსაკუთრებული, უნიკალური თვისებაა, რომელსაც, როგორც წესი, არაფერი აქვს საერთო სხვა თავისებურებებთან, მათ შორის გონებასთანაც.

ის მნიშვნელოვანი და ცნობილი გამოთქმა („რატომ ხარ ასეთი ღარიბი, თუ ასეთი ჭკვიანი ხარ“), რომელიც მოგვიწოდებს დავამციროთ თანამოსაუბრე სხვების თვალში, დავამდაბლოთ მისი ინტელექტუალური უნარი, მცდარია, და არ არსებობს საბაბი მივიჩნიოთ, რომ თუ შენ ჭკვიანი ხარ, აუცილებლად უნდა გახდე მდიდარი. სრულიადაც არა, მიაჩნიათ კვალიფიციურ მეცნიერებსა და მკვლევარებს.

და პირიქით, შენ შეიძლება იყო მდიდარი,ზღაპრულად წარმატებულ ბიზნესში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ შენ ხარ გონიერი თუ არა. ეს მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ შენ გაქვს ნიჭი, გამოიმუშაო ფული.

სამწუხაროდ, ეს ორი დადებითი თვისება — ფულის გამომუშავების ნიჭი, და ცოცხალი, აქტიური გონება — ერთად საკმაოდ იშვიათად გვხვდება.

დედამიწის ზურგზე

კიევის ცენტრში პროტესტის მონაწილენი და ძალოვანები ერთმანეთში ცვლიან „წერტილოვან თავდასხმებს“, დაჭრილთა რაოდენობამ ასეულს გადააჭარბა

მილიცია დრო და დრო ესვრის ქვებსა და „მოლოტოვის კოქტეილებს“, მოპირდაპირეები უპასუხებენ რეზინის ტყვიებითა და შუქმაურიანი ხელყუმბარებით. მომიტინგეებმა თავდაცვისთვის მოიფიქრეს კონსტრუქცია, რომელიც „ტროას ცხენს“ მოგვაგონებს. მასობრივი უწესრიგობის გამო 20-ზე მეტი კაცია დაკავებული. უკრაინის რეგიონებში ბლოკავენ ძალოვანების ბაზებს, არ აძლევენ მათ საშუალებას, წავიდნენ დედაქალაქში.

* * *

აშშ ბრალს სდებს უკრაინის ხელისუფლებას კიევში ძალადობის ესკალაციაში და დაიმუძრა სანქციებით

ამ დროს, იანუკოვიჩის მიერ ოპოზიციასთან დაპირებული დიალოგის დაწყების მოლოდინში, მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით კრიზისი მხოლოდ ღრმავდება. სარეპრესიო კანონების მიღებით პრეზიდენტმა საბოლოოდ ბელარუს-რუსეთის გზა აირჩია და დაემშვიდობა ევროკავშირს.

* * *

ერაყელმა ექსტრემისტებმა იკისრეს პასუხისმგებლობა აფეთქებებისთვის ვოლგოგრადში. ამერიკის შეერთებული შტატები ბრალს სდებს რუსეთის ფედერაციას ინფორმაციის „დამალვაში“

რუსეთის ხელისუფლება სერიოზულად ეპყრობა თამაშებზე უშიშროების საკითხს, მაგრამ სრულ ინფორმაციას არ გვაწვდიან, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, მიიღოს მომხდარის სრული სურათი და დაიცვას თავისი სპორტსმენები, აცხადებენ ამერიკელი კონგრესმენები.

* * *

ირანი მთლიანად წყვეტს ურანის გამდიდრებას 20 პროცენტამდე „ეძსეულთან“ შეთანხმებით

ჟენევის ხელშეკრულების ფარგლებში ირანმა „მაგატეს“ ინსტრუქტორებს ნება მისცა მივიდნენ ბირთვულ ობიექტებზე, იგი წყვეტს ურანის გამდიდრებას 20 პროცენტამდე და აჩერებს რეაქტორის მშენებლობას არაკაში. ეკონომიკური სანქციების საპასუხო მოხსნა ქვეყანას 7 მილიარდ დოლარს მოუტანს.

„მხედრიონი“ – ბრძოლების მხედრობა

მღვრიე სათავე

როდესაც უფალმა აბელის შესაწირავი მიიღო, კაენისა კი – არა, კაენი დაეცა თავის ძმას აბელს და მოკლა.

ეს არ იყო მკვლელობა ოდენ შურისა გამო. თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკური მკვლელობა გახლდათ, რადგან ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი განსხვავებული მსოფლმხედველობა – მესაქონლის და მიწათმოქმედისა.

და ერთმა მოკლა მეორე – არა ძმა, არამედ პოლიტიკური მოწინააღმდეგე.

ამდენად, ტერორი – პოლიტიკური მოწინააღმდეგის ძალადურად მოცილება – ისევე ძველია, ვით სამყარო.

უთხრა ღმერთმა კაენს: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს.

კაცობრიობის მთელი ბიოგრაფია უმოწყალოდ დაღვრილი ზღვა სისხლით შეჰღაღადებს ზეცას.

საწამლავით, ხანჯლით, ტყვიით იღუპებოდნენ მეფეები, მთავრები, მხედართუფროსები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, ჩინიანი და უჩინო მოხელენი და მოღვაწენი.

საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის ნაწილია და მკვლელთა ხელით აღესრულნენ ქართლის, ეგრის-ლაზეთის, ტაო-კლარჯეთის, იმერეთის მეფენი: ფარსმან II ქველი, დავით I კურაპალატი, გუბაზ II, აშოტ I კურაპალატი, სვიმონ II, გიორგი VI...

XX საუკუნე განსაკუთრებით უხვია ამ მხრივ:

1907 წელს მოკლეს ილია.

20-30-40-იანი წლები სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი ტერორის ზეობის ხანა იყო.

1990-1995 წლებში მუხანათურ გასროლათა მთელმა სერიამ შეაზანზარა საქართველო.

80-იანი წლების მიწურულს, საბჭოთა კავშირის ნგრევის პარალელურად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა აზავდა. ჯერ ღრიჭოდ შემოღებულ, მერე კი ანჯამებამდე მოღიავებულ სარკმელში შემოჭრილი თავისუფლების ბორიოთი დამთვრალი ხალხი დაეხარბა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ფორმირებებს, რომელთაც მიზნად დაისახეს დამოუკიდებლობის აღდგენა, არსებული კომუნისტური რეჟიმის დამხობა და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება.

სოციალისტური მენტალიტეტის ეროვნულ-დემოკრატიულით შეცვლის პროცესს თან აგრესიული ნაციონალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აღზევება სდევდა.

ამ მოვლენის განვითარებას ხელი შეუწყო ტოტალიტარიზმისადმი ხალხის შინაგანმა მძლავრმა სტიქიურმა პროტესტმა და... ხელისუფლების ვაკუუმით გამოწვეულმა დაუსჯელობის სინდრომმა.

ღონედაშრეტილი სახელმწიფოსგან თავის ნებაზე მიშვებულმა, მაფიოზურ კლანებთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ამ ძალებმა თავად დაიწყეს სახელმწიფოს გაკონტროლება და მის სადავეებსაც კი დაუმიზნეს.

ეს იყო ურთულესი, საბედისწერო შეცდომებით სავსე პერიოდი, რამაც მსახვრალი კვალი დაამჩნია ქვეყნის მომავალს. კრიმინალი ლეგალური ხდებოდა, კრიმინალმა იგრძნო რკინის ხელის შესუსტება, ის, რომ ფრთების გაშლის საშუალება ეძლეოდა. ისტორიკოსთა შეფასებით ეს იყო კრიმინალთა პოლიტიზაციისა და პოლიტიკის კრიმინალიზაციის პროცესი.

არსებითად ეს იყო უხელისუფლებობის პერიოდი, როცა კომუნისტებმა პრაქტიკულად დაკარგეს ძალაუფლება, მაგრამ ეროვნული ძალები ჯერ არ მოსულიყვნენ ქვეყნის სათავეში.

ასეთ ვითარებაში, ხელსაყრელ, „მორგებულ“ დროს აღმოცენდა სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაცია „მხედრიონი“ – პლეხანოველი, „ოქროსუბნელი“ და საბურთალოელი „ძველი ბიჭების“ გაერთიანება, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო წარსულში სამგზის მსჯავრდებული „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი.

ერთი სიტყვით, ეროვნული მოძრაობა ახალ თვისებრიობაში გადავიდა. ეს დაიწყო მაშინ, როცა მოძრაობის ახალგაზრდულმა თაობამ „ქუჩურ-ძველბიჭური“ ელემენტი შეიტანა მასში.

თუ დასაწყისში – 1988 წლის სექტემბერ-ოქტომბერში – „მხედრიონში“ სულ ორ ათეულამდე კაცი იყო გაერთიანებული (თავიდან მას „მხედრიონი“ არ ერქვა), მერე და მერე, განსაკუთრებით – 1989 წლიდან, საკმაოდ მომძლავრდა.

ჯერ იმაზე მსჯელობდნენ, რა ელონათ, რა ეკეთებინათ შექმნილ ვითარებაში. მაშინ ჯაბა ჯერ არ ჩანდა, შემდეგ გამოჩნდა და ერთ-ერთ შეკრებას („სხადნიაკს“) დაესწრო, ავტორიტეტული სიტყვა თქვა, ბიჭებს რაღაც ურჩია და თან დაუმატა: თუ ვინმე რამე გკითხათ, უთხარით, რომ თქვენთან არის ჯაბა იოსელიანი!

„მხედრიონის“ მომავალი ბირთვისთვის ეს გზის დალოცვა აღმოჩნდა.

* * *

მოკლე ბიოგრაფია: ჯაბა კონსტანტინეს ძე იოსელიანი – XX საუკუნის 90-იანი წლების ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრი 1992 წლის 6 იანვრიდან. იმავე წლის 10 მარტამდე, სამხედრო მეთაური, შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონის“ დამაარსებელი და ლიდერი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-1995 წ.წ.), საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე (1993-1994 წ.წ.), მეცნიერი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი, 3 მონოგრაფიისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; მწერალი (საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი) – დაწერილი აქვს ოთხი რომანი, რომელთაგან ორი – „სამი განზომილება“ (1999 წ.) და „ლიმონათის ქვეყანა“ (2001 წ.) რუსულადაც არის ნათარგმნი (2002 წ. ჯაბა დაესწრო თავისი წიგნის პრეზენტაციას მოსკოვში), ავტორია 6 პიესისა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა თეატრში იდგმებოდა.

ამავე დროს იყო „კანონიერი ქურდი“.

ყველა ეს წოდება მოპოვებული ჰქონდა ნაღდად, ყოველგვარი ნაყალბევის და წამატების გარეშე. რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკომ რომან „ლიმონათის ქვეყნის“ წაკითხვის შემდეგ (მასში ავტორი საკუთარ ცხოვრებაზე მოგვითხრობს)მიგნებულად თქვა, „როგორც ჩანს, ის იყო საინტერესო ადამიანი, კაცი დიდი ვნებებით, წინააღმდეგობებით და საუცხოო პიროვნებით“.

დაიბადა ხაშურში, 1926 წლის 10 ივლისს, მასწავლებელი დედისა და რკინიგზელი მამის ოჯახში. ადრე დაობლდა და ქურდულ გარემოცვაში მოექცა. 1942 წელს, 16 წლის ასაკში პირველად მოხვდა ციხეში ყაჩაღობისთვის და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ზონიდან გაიქცა. მართლმსაჯულებისგან მიმალულმა ყალბი ატესტატით ჩააბარა მისაღები გამოცდები ლენინგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც პედაგოგებს ანცვიფრებდა სწავლისადმი სწრაფვითა და მშვენიერი მონაცემებით. მაგრამ მეხუთე კურსზე გაირკვა, რომ ფრიადოსანი, აქტივისტი, საყოველთაოდ საყვარელი სტუდენტი აღმოსავლური ფილოლოგიის შესწავლას წარმატებით უხამებდა ბინების ქურდობას. 1948 წელს შეიარაღებული ყაჩაღობისა და მკვლელობის ბრალდებით 25 წელი მიესაჯა. ციხეში 17 წელი გაატარა. როგორც ჟურნალი „ვლასტი“ მიუთითებდა, იგი იყო გამოჩენილი ქართველი მწერლის, მისი ბავშვობის მეგობრის ნოდარ დუმბაძის რომან „თეთრი ბაირაღების“ გმირის, „პატიოსანი კანონიერი ქურდის“ ლიმონა დევდარიანის პროტოტიპი.

მეორე ვადის მოხდის დროს ჯაბამ წერა დაიწყო. წერდა მოთხრობებს, რომლებსაც ხუმრობით „საკნის ლიტერატურას“ ეძახდა, მაგრამ ამ თხზულებების ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ ავტორის პატიმრობის მიუხედავად, ისინი ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. ქართველმა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებმა სსრ კავშირის ხელმძღვანელობას სთხოვეს შეეწყალებინათ მსჯავრდებული შემოქმედი. 1965 წელს იგი გაათავისუფლეს. მაშინ 39 წლისა იყო.

საქართველოში დაბრუნების უმალ... საღამოს სკოლის მეცხრე კლასში მიუჯდა მერხს. შემდეგ ჩააბარა თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში, რომლის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა 1973 წელს. იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, შემდეგ – თეატრისა და კინოს სექტორის უფროსის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1978 წელს დაიცვა საკანდიდატო („სერგო ამაღლობელი“), ხოლო 1982 წელს სადოქტორო („კომიზმი და ქართული კომედიის ნიღბები“) დისერტაციები.

1992 წლის იანვარში ჯ.იოსელიანმა საქართველოს ეროვნული გვარდიის განდგომილ წევრებთან ერთად პრეზიდენტ კ.გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის მიზნით სამხედრო გადატრიალება მოაწყო და სამხედრო საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი გახდა (ხუმრობდა, ხელისუფლებაში მოვიდნენ ცნობილი ქურდი და უცნობი მხატვარიო. კიტოვანი განათლებით მხატვარი იყო).

1992 წლის იანვარ-მარტში ფაქტობრივად მართავდა საქართველოს. მოგვიანებით იგი გავლენიანი ფიგურა ხდება სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაშიც.

ჯაბა იოსელიანმა პირველმა გაიაზრა და ჩამოაყალიბა ედუარდ შევარდნაძის მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნების აუცილებლობა. იგი არა მხოლოდ დაეხმარა მას დაბრუნებასა და აქ ნიადაგის გამყარებაში, არამედ მოგვიანებით – თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანის თავიდან მოცილებაშიც. ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფოს თავდაცვის ძალების უსუსურობის გამო იძულებული იყო „მხედრიონის“ შეიარაღებულ დაჯგუფებას დაყრდნობოდა. ჯაბა ხელახლა შექმნილ სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შევიდა.

ჯ.იოსელიანმა თავის „მხედრიონით“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის მცდელობაში, რაც 1993 წლის აგვისტო-სექტემბერში ცენტრალური ხელისუფლებისა და „მხედრიონის“ აბსოლუტური დამარცხებით დამთავრდა. აფხაზეთის ომში „მხედრიონმა“ 800-მდე მებრძოლი დაკარგა. აღსანიშნავია, რომ ჯაბა იოსელიანი ცდილობდა არ დაეშვა აფხაზი მოსახლეობის მიმართ განუკითხაობა და წრეგადასული სისასტიკე.

მარცხის მიუხედავად, ჯაბას სახელმწიფო აპარატში მისცეს ფორმალური თანამდებობა, რასაც იგი დიდი ენთუზიაზმით ასრულებდა. მას მწვავედ აკრიტიკებდნენ ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები, ოპოზიცია, თბილისსა და სამეგრელოს რეგიონში ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეების მიმართ ჩატარებული სადამსჯელო ღონისძიებებისთვის.

1995 წელს ტერორიზმის, ბანდიტიზმისა და სახელმწიფოს მეთაურის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით (რასაც იგი კატეგორიულად უარყოფდა) იოსელიანი სხვა ეჭვმიტანილებთან ერთად დააპატიმრეს და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. „მხედრიონის“ საქმიანობა აიკრძალა.

ეს ბოლო პატიმრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, 2000 წელს საყოველთაო ამნისტიის შედეგად გაათავისუფლეს. საპატიმროში დაწერა რომანი „ლიმონათის ქვეყანა“. დაჯილდოებული იყო I ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

გარდაიცვალა 2003 წლის 4 მარტს, ტვინში სისხლის ჩაქცევით.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, რაც დღემდე ცხარე კამათის საგანია.

* * *

ახალგაზრდობას იზიდავდა „მხედრიონის“ მიერ გამოცხადებული მიზანი – საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა (სწორედ ამიტომ იყო, რომ ორგანიზაციაში ბევრი პატრიოტულად განწყობილი მოქალაქე მივიდა). მალე იგრძნეს, რომ მათი დრო დგებოდა, მალე შეძლებდნენ ნახევრადლეგალურიდან ლეგალურ მდგომარეობაზე გადასვლას.

თავიდან, 1989 წლიდან, ვაკეში, ფიზკულტურის ინსტიტუტთან იკრიბებოდნენ, შემდეგ ბინა ვერის ბაღში – ჭადრაკის სასახლეში დაიდეს.

ფიზკულტურის ინსტიტუტის მანეჟში ხშირად მინახავს მათი ვარჯიშები, ჯაბა იოსელიანი – პროფესორი, სოლიდური ასაკის მიუხედავად, მიმინოსავით აკვალთული, მომხიბვლელი შესახედაობის, ყოველთვის გამორჩეულად ჩაცმული, ერთნაირად რომ უხდებოდა თეთრი ჩოხაცა და გალიფეც, ფრენჩზე შემოჭერილ კავკასიურ ქამარში გარჭობილი შიშველი დამბაჩაც, პეპელა ჰალსტუხიცა და საველე სამხედრო მუნდირიც, იმავდროულად, ყოფილი „საკავშირო გიმელი“ – ამ თვალსაზრისით მას მეტოქე არ ჰყავდა.

და მაინც მალე „მხედრიონში“ განხეთქილება მოხდა. ოქროსუბნელთა ერთი ნაწილი ავთო მანაგაძის ხელმძღვანელობით „მხედრიონს“ გამოეყო და „თეთრი გიორგი“ დააარსა. ეს ორგანიზაცია უფრო ზვიად გამსახურდიასთან იყო ახლოს.

ჭადრაკის სასახლეში ყოველდღე, 12 საათისთვის იმართებოდა შეკრებები. იწყებოდა საუბარი აქტუალურ თემაზე: რა ეშველათ ეროვნული მოძრაობისთვის და როგორ ეტირათ დედა ზვიად გამსახურდიასთვის. მალე საუბრების თემატიკა და ტონალობა ნაწილობრივ შეიცვალა, მაგრამ ზ.გამსახურდია კვლავ № 1 მტრად რჩებოდა.

ამ შეკრებებზე ჯაბაც გამოდიოდა სიტყვით: „როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდება და შეიქმნება ეროვნული არმია, ჩვენ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ყურმოჭრილი მონები ვიქნებით...“

თავიდანვე დამაფიქრებელი იყო, რომ „მხედრიონს“ მიაწყდნენ წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი, ე.წ. ქურდული ტრადიციების მატარებელი, ეროვნულ იდეას ამოფარებული ხელმოცარული ადამიანებიც.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

◎ ჭიდაობა



ერთი ოქრო და სამი ბრინჯაო

წლეულს 6-11 მაისს ბულგარეთის ქალაქი სამოკოვო ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს, ხოლო მსოფლიოს პირველობა 15-20 ივლისს სლოვაკეთის ქალაქ სნინაში გაიმართება. ამ შეჯიბრებებისთვის მონდომებით ემზადებიან ახალგაზრდა ქართველი ფალავნები.

გასულ უქმეებზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ბაქოს ოლიმპიურ ცენტრ სერხაჯში მუშვიგ ისაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მოსინჯეს ძალები და სამი მედალიც მოიპოვეს.

სხვებზე უკეთ იასპარეზა გივი მაჭარაშვილმა (100 კგ). მძიმე წონის ჩვენებურმა ტურნირი წაუგებლად ჩაამთავრა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ფინალში მაჭარაშვილმა მასპინძელი იქბალ ჰაჩიზადე დაამარცხა. ამავე წონაში ჯონი პეტრიაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა. 85 კილოში, ასევე, ბრინჯაოს მედალი ზაურ ბერაძეს ერგო. შეჯიბრებაში აზერბაიჯანის, რუსეთის, ირანის, ყაზახეთის, უზბეკეთის და საქართველოს ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი

თორნიკე შენგელია „ჩიკაგო ბულზში“ ითამაშებს

ძართველი კალათბურთელი თორნიკე შენგელია „ბრუკლინ ნეთსიდან“ „ჩიკაგო ბულზში“ გადადის. აღნიშნულის შესახებ არაერთი ამერიკული წყარო იტყობინება (მათ შორის Yahoo Sports და ESPN). გარიგების თანახმად, რომელიც ოფიციალურად უახლოეს დღეებში გაფორმდება, შენგელიას სანაცვლოდ „ნეთსი“ უკანახაზელ მარკუს ტიგს მიიღებს.

ცნობისთვის, ამ დროისთვის ტომ ტიბოდოს მიერ დარიგებულ „ჩიკაგოს“ 18 მოგება და 20 მარცხი გააჩნია და ცენტრალურ დივიზიონში მეორე, ხოლო მთელს აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილი უკავია.

„ხარებს“ მომდევნო შეხვედრა შინ „ფილადელფიასთან“ ელით, თუმცა, ცხადია, თორნიკე ჯერ

ეს უკანასკნელი „ბულზმა“ 2012 წლის დრაფტის პირველ რაუნდში აიყვანა, თუმცა, ტრავმიანობის გამო მისგან სარგებელი ვერ ნახა, შენგელიას გადაყვანით კი მისთვის პრობლემატური პოზიციის დაბალანსებას ცდილობს.

ტრანსფერი მისასალმებელია ქართველი ფორვარდისთვისაც, რომელსაც „ბრუკლინში“ არსებული უდიდესი კონკურენციის პირობებში თამაში, ფაქტობრივად, არ უწევდა, „ჩიკაგოში“ კი სათამაშო წუთები უდავოდ უნდა მოემატოს.

საქმე ის გახლავთ, რომ ქართველის პოზიციაზე „ბულზს“ რეალურად ერთადერთი ხეირიანი მოთამაშე მაიკ დანლივი ჰყავს, ასე რომ, „თოკოს“ შანსი აუცილებლად მიეცემა.

ახალ გუნდთან ერთად არ იქნება. ისიც ვთქვათ, რომ ჩიკაგოელებს სეზონის ბოლომდე ვერაფრით დაეხმარება სუპერვარსკვლავი დერიკ როუზი, რომელიც ტრავმის მოშუშებას ჯერაც ვერ ახერხებს.

და ერთიც. თუკი ისევ „ბრუკლინს“ დავუბრუნდებით, აღსანიშნავია, რომ გუნდი კიდევ ერთ სათადარიგო კალათბურთელ ტაიშუან ტეილორს ემშვიდობება. არსებული ინფორმაციით, „ნეთსი“ ამერიკელ უკანახაზელს „ნიუ ორლეან პელიკანსს“ დაუთმობს და გარკვეულ თანხასაც დაუმატებს, სანაცვლოდ კი სამომავლო დრაფტზე არჩევანის უფლებას მიიღებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფიგურული სრიალი

შარშანდელი შედეგი გააუმჯობესა

ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, ქართველი მოციგურავე ელენე გედევანიშვილი (მწვრთნელი ბრაიან ორსერი) შარშან კონტინენტის პირველობაზე მე-14 იყო, ამჯერად კი ოთხი საფეხურით წინ წაიწია. არადა, მოკლე პროგრამის შემდეგ მე-7 იყო და საპრიზო ადგილებზე გასვლის მცირე შანსს ინარჩუნებდა. სამწუხაროდ, თავისუფალი პროგრამით ასპარეზობისას რამდენიმე შეცდომა დაუშვა და 141.82 ქულით მეათე ადგილზე გავიდა.

უნგრეთის დედაქალაქში შეუდარებელი იყო 15 წლის ეკატერინბურგელი (რუსეთი) იულია ლიპნიცკაია, რომელსაც მოსკოველები ეთერ თუთბერიძე და სერგეი დუდაკოვი ავარჯიშებენ. ევროპის ჩემპიონატში იგი პირველად მონაწილეობდა, მაგრამ სულაც არ ეტყობოდა დებიუტანტობა, ისე თავისუფლად, შესაშური ოსტატობით შეასრულა ურთულესი ტექნიკური ელემენტები და 209,72 ქულით ოქროს მედალი დაიმსახურა (თავისუფალი პროგრამის შემდეგ ნორჩ სპორტსმენს მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი დიდხანს უკრავდა ტაშს). საგულისხმოა, რომ ლიპნიცკაიამ შარშან ოქტომბერში უფროსებში კანადის საერთაშორისო ტურნირი მოიგო 198.23 ქულით, პირველ ადგილზე გავიდა მოსკოვში როსტელეკომის თასზე, ხოლო ფუკუოკაში (იაპონია) გრან პრის ფინალში მეორე ადგილი დაიკავა. ბუდაპეშტში მეორე იყო, ასევე, რუსი მოციგურავე ადელინა სოტნიკოვა (202.36), მესამე ადგილი კი ევროპის ხუთგზის ჩემპიონსა და მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულ კაროლინა კოსტნერს (იტალია, 191.39) ერგო.

ფიგურული ციგურაობის სხვა დისციპლინებში კვარცხლბეკზე ავიდნენ: **ცეკვები.** 1. ანა კაპელინი, ლუკა ლანოტე (იტალია, 171,61), 2. ელენა ილინიხი, ნიკიტა კოსოლაპოვი (რუსეთი, 170,51), 3. პენი კუმსი, ნიკოლას ბუკლენდი (დიდი ბრიტანეთი, 158,69). ანგელინა ტელეგინას და ოთარ ჯაფარიძის დუეტი 29 მონაწილეს შორის 27-ე ადგილზე გავიდა. **ვაჟები.** 1. ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი, 267,11), 2. სერგეი ვორონოვი (რუსეთი, 252.55), 3. კონსტანტინ მენშოვი (რუსეთი, 237.24). **წყვილები.** 1. ტატიანა ვოლოსოჟარი, მაქსიმ ტრანკოვი (220,38), 2. ქსენია სტოლბოვა, ფიოდორ კლიმოვი (207.98), 3. ვერა ბაზაროვა, იური ლარიონოვი (სამივე-რუსეთი, 201.61).

ლექსო ციცაძე

◎ ავტოსპორტი

ნანი რომამ დაკარის რალი მოიგო

ესპანელი ნანი რომას გამარჯვებით დასრულდა დაკარის რალი-მარათონი, რომელსაც ისევ სამხრეთ ამერიკამ უმასპინძლა. მსუბუქი ავტომობილების კლასში მან ხუთი წუთით აჯობა ფრანგ თანაგუნდელ სტეფან პეტერანსელს, მესამე ადგილზე კი ყატარელი ნასერ ალ-ატია გავიდა. სამივეს ეკიპაჟი „მინის“ ავტომობილით ასპარეზობდა.

საინტერესოა, რომ ბოლო დღის წინ ლიდერი პეტერანსელი იყო, მაგრამ უფრო ადრე, გუნდ „X-რეიდ მინის“ ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, იმისათვის, რომ თანაგუნდელებს შორის ბრძოლა და, აქედან გამომდინარე, რისკები თავიდან აერიდებინათ, გამარჯვება რომას უნდა მოეპოვებინა, რომელიც იმ მომენტში ლიდერი იყო. ამიტომ ბოლო ეტაპზე ფრანგმა ტემპი დააგდო, რათა თანაგუნდელი წინ გაეშვა.

აღსანიშნავია, რომ პირველი ექვსი ადგილიდან ხუთი „X-რეიდ მინის“ ეკიპაჟებმა დაიკავეს. მეოთხე ადგილზე გავიდა „ტოიოტათი“ მოასპარეზე სამხრეთაფრიკელი ჟინიელ დე ვილიერსი. რბოლა ვერ დაასრულა კარლოს საინსმა, ვისაც ფინიშამდე ოთხი დღით ადრე ავარია მოუვიდა. მოტოციკლების კლასში კი გამარჯვება ასევე ესპანელმა მარკ კომამ მოიპოვა, ვისთვისაც ეს დაკარის მეოთხე ტიტულია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

ინგლისი. „ჩელსი“ – „მანჩესტერი“ 3:1, „სიტი – „კარდიფი“ 4:2, „ლივერპული“ – „ასტონ ვილა“ 2:2, „არსენალი“ – „ფულჰემი“ 2:0, „სუონსი“ – „ტოტენჰემი“ 1:3.

იტალია. „იუვენტუსი“ – „სამპდორია“ 4:2, „რომა“ – „ლივორნო“ 3:0, „მილანი“ – „ვერონა“ 1:0, „ბოლონია“ – „ნაპოლი“ 2:2, „ჯენოა“ – „ინტერი“ 1:0.

ესპანეთი. „ლევანტე“ – „ბარსელონა“ 1:1, „ბეტისი“ – „რეალი“ 0:5, „ატლეტიკო“ – „სევილია“ 1:1, „ხეტაფე“ – „სოსიედადი“ 2:2, „მალაგა“ – „ვალენსია“ 0:0.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სპორტი — რუს მეძავთა თავშესაფარი

რუსეთიდან მთელს მსოფლიოში გოგონათა მიგრაცია უკვე კარგა ხანია მნიშვნელოვანი და მოუგვარებელი პრობლემა გახდა მრავალი ქვეყნისათვის. რუსი ასულები უცხოეთში უმეტესწილად სამეძავოდ მიდიან და უკვე სტატისტიკოსებსაც კი უჭირთ იმის გაგება, ზუსტად რამდენი რუსი ტურფაა ჩვენს ბეჩავ პლანეტაზე სამეძავოდ გაფანტული.

ინგლისური ბულვარული გამოცემა „სანი“ ირწმუნება, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უკანასკნელ პერიოდში ერთგვარი კონტროლი დააწესა და ასე ადვილად აღარ უშვებენ რუს გოგონებს მათ გემოზე სათარეშოდ. ამიტომ მეძავობის სურვილით აღვსილებმა სხვა ხერხს მიმართეს.

როგორც ბრიტანელი ჟურნალისტი წერს, რუსეთში გოგონები ძალიან ადვილად და საკმაოდ იაფად ახერხებენ სპორტსმენის ყალბი საბუთების გაკეთებას, სპორტსმენი გოგონას უცხოეთში არგაშვებას კი ალბათ ყველაზე კორუმპირებული რუსი პოლიციელიც ვერ გაბედავს. ჰოდა, იყენებენ ამ სპორტს რუსი „ნაშები“ და არიან კოხტად. სპორტის ქომაგებმა ვიდარდოთ, თორემ...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ცხოვრებისეული ეპიზოდები

„ვარ სასიამოვნო გარეგნობის, ვიმუშავებ კაფე-ბარში ჭურჭლის მრეცხავად“

ბარ არის აღმოჩენა, არ არის ისეთი უცხო ინფორმაცია, რომლის წაკითხვისას გაკვირვებით წამოიძახებ: „დედა, ეს რა ხდება!“ ჩვენი პრესის ფურცლებზე (განსაკუთრებით გაზეთ „სიტყვა და საქმეში“) კარგა ხანია, შევეჩვიეთ მავანთა, უმეტესწილად, ჩვენი ღარიბი და საშუალო ფენის მცხოვრებთა, ზოგ შემთხვევაში, მართლაც რომ სულისშემძვრელ განცხადებებს: „ვარ მოწესრიგებული ქალბატონი, მოვუვლი ავადმყოფს დღე-ღამის განმავლობაში“, „ვიმუშავებ რესტორნის დამგველად“... „დავასუფთავებ ტუალეტებს“... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... განცხადება უამრავია, ნაირ-ნაირია... ამ, შეიძლება ითქვას, ულუკმაპურო ადამიანების სამუშაოთი დაკმაყოფილება რომ ასე ადვილი იყოს, მაშინ რაღა გვიჭირდა, თურქეთსა და საბერძნეთში კი აღარ გადაიკარგებოდნენ ჩვენი ქალბატონები ჭურჭლის მრეცხავად და მომაკვდავი ავადმყოფების მომვლელებად! მაგრამ განცხადებები, მაინც ქვეყნდება და ქვეყნდება, ვინ იცის, ღმერთია მოწყალე, ეგებ გაუმართოლოთ! ზოგს, მართლაც უმართლებს!

ისეთ განცხადებებსაც შეხვდებით, როცა იწვევენ სამუშაოდ მოქალაქეებს, მაგრამ, ეს მაინც ზღვაში წვეთია სამუშაოს მაძიებლებთან შედარებით. იყო დრო, როდესაც ჩვენ, კუდაბზიკა ქართველები მეეზოვეობას როგორ ვიკადრებდით და მიგვაჩნდა, რომ ქუჩები, ეზოები და სკვერები, თბილისში, მაგალითად, ქურთებს უნდა დაესუფთავებინათ. შეიცვალა დრო და, შარშან, მერიის წინ ქურთი მოსახლეობის აქცია გაიმართა, სამუშაო მოგვეცითო! ქართველების რიგი დგას „შავ“ სამუშაოებზე (საკუთარი თვალით ვხედავ ალექსანდრეს ბაღში).

მაშ, შეიცვალა დრო!.. მაგრამ რა ქნან ადამიანებმა, რომელთაც სწორედ ამ ავ დროში მოუწიათ ძაღლუმადური ცხოვრება?! ლუკმაპური ხომ უნდათ, სანამ მიქელ გაბრიელი მოაკითხავთ?! ამ უმტკივნეულეს თემაზე ორი სიტყვის დაწერა (ვის აღარ დაუწერია უფრო გამოწვლილვით და ვრცლად) საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიზნესმენებთან შეხვედრამ მიკარნახა. რომ იტყვიან, შავ დღეშია ირაკლი ღარიბაშვილი, ქვეყანაში უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი, რომელთაგან უმუშევრობა, სამწუხაროდ, უმთავრესია!

ყველაფერს გავაკეთებო, ყოველნაირად ვეცდებით, თქვენი დახმარებითო, მიმართა ბიზნესმენებს პრემიერმა. ვნახოთ, რომ იტყვიან, ალილო და ხვალეო!

როგორ ივსება სული სითბოთი

ოთხი-ხუთი წლის ბიჭუნა ახალგაზრდა ქალს ხელიდან უსხლტება და რუსთაველზე გასაყიდად გამოტანილი ნაირ-ნაირი საახალწლო სათამაშეობისკენ გარბის.

— ფრთხილად ლაშიკო, მამიდა გენაცვალოს, არ წაიქცე!..

რაო?! ღმერთო, ამას რას მომასწარი — დღეს, გლობალიზაციის, კოსმოპოლიტიზმის, ევროპიზაციის, ინტერნეტიზაციის და ათასი „ზაციის“ პირობებში, ეს მადლიანი **„მამიდა გენაცვალოს“**, როგორ წამოსცდა სულ 40-45 წლის ქალს?!

„მამიდა გენაცვალოსო“, ხალხო! ჯინსებში გამოწკეპილმა ახალგაზრდა ქალმა! ღმერთო, როგორ მომნატრებია ეს სიტყვა — „მამიდა“, რომელიც შორეულ, 50-60 წლის წინანდელ დროებას მახსენებს. სოფელში ერთ უბანში ცხოვრობდნენ ჩემი მამიდები. ერთი ჯავახაძის მეუღლე იყო, — თამარა მამიდა, მეორე — გოგისვანიძისა — ნადია... გამრჯეები, მუხლჩაუხრელები... როგორ უვლიდნენ ვეებერთელა ოჯახებს!.. შევიდოდი ეზოში გოგისვანიძეებთან. გამომეგებებოდა ნადია მამიდა — დამსახურებული პედაგოგი, „ოთარაანთ ქვრივობაში“ ოთხი შვილის გამზრდელი... „მოხვედი?.. **„გენაცანოს** („გენაცვალოს“ კი არა **„გენაცანოს“) მამიდა,** ასე მეტყოდა, მკერდში ჩამიკრავდა და ქვეყნის ამბებს გამომკითხავდა... გავიდა დრო, ათასი რამ შეიცვალა, მაგრამ ვის ეგონა, თუ სიტყვა — „მამიდა“ „მოძველდებოდა“, საჭირო აღარ იქნებოდა, მეტიც: „ქაჯობაში“ ჩაგეთვლებოდა მისი წარმოთქმა და „მოდაში“ პირდაპირ სახელის დაძახება შემოვიდოდა. ვთქვათ: „ნინო, როგორა ხარ?“ („ნინო მამიდას“ ნაცვლად).

ახლა დამიწყებენ, როგორც ზემოთ გითხარით, გაევროპელდა, ძმაო, საქართველო, რა დროს ეგ არის, გამარტივდა ყველაფერიო. ის კი არა, დედ-მამას და ბებია-ბაბუას უკვე სახელებით მიმართავენო, ცოტა, რქები მოიმტვრიეო!.. მაგრამ დაფიქრებულხართ, თავად სიტყვა — „მამიდა“, „დეიდა“ მოზარდის სულს როგორ აფაქიზებს? რა სისათუთეს აღძრავს, რა დაუშრეტელ სითბოს იტევს „მამიდა გენაცვალოს“, „დეიდა გენაცვალოს“? არადა, სულის გაფაქიზებიდან სულის გაუხეშებამდე ხომ ერთი ნაბიჯია, ბატონებო!.. ჰოდა, ამ გაუხეშებულ ყოფაში, მამიდა და დეიდა, ბიცოლა და ბიძია ერთმანეთში აითქვიფა. ქართველებს კი არას გვარგებს იმის „დავიწყება“, რაც ჩვენი სისხლი სისხლთაგანია, ხორცი ხორცთაგანია, რამაც ჩვენი მომავალი უნდა აღზარდოს!

აი, რატომ „მეუცხოვა“ იმ დღეს თანამედროვე ახალგაზრდა ქალისგან ეს მაგიური სიტყვა — „მამიდა“. ცხადზე უცხადესია, რომ მან უფროსებს უგდო ყური ოჯახში, იმ უფროსებმა თავიანთი უფროსებისგან ისწავლეს და ასე გადარჩა სიტყვა — „მამიდა“. მამიდები ღმერთმა კარგად გიმყოფოთ, მე მიმართვის ფორმას მივტირი, ბატონებო!

წინდების გამყიდველი

მზე კი ანათებს, მაგრამ მაინც დილის სუსხია ბაღში. უბნელები, მამაკაცები, ვითომ ვვარჯიშობთ, ჩქარი ნაბიჯით მიმოვდივართ, ხელ-ფეხს ვიქნევთ, არ ვეპუებით ხანდაზმულობას.

თავშალმოხურული დედაბერი გვიახლოვდება. ჯოხდაბჯენილი ნელ-ნელა მოაბიჯებს, თან ჩანთა მოაქვს, რომლიდანაც ნაირ-ნაირი, ნაქსოვი საზამთრო წინდები მოჩანს. გაგვისწორდა, სალამი გვითხრა და იქვე ჩვენს სიახლოვეს — ძელსკამზე ჩამოჯდა. „როგორ ყიდი, დედი?“ — ეკითხება გია.

„ნ ლარად... ნახე, სუფთა მატყლია“... თავშალი მხრებზე ჩამოიწია, ჭროღა თვალები გამოანათა. „ძვირია, ძვირი!.. შარშან მე 3 ლარად ვიყიდე“ — ამბობს ბონდო. „შარშან ლარად ჩამოვდიოდი კახეთიდან თბილისში, ახლა ორი ლარიო... გაიგეეე?“ — არ იბნევა დედაბერი.

კახეთიდან თბილისში წინდების გასაყიდად რამ ჩამოგიყვანა, შე ქალო!“ „რამ ჩამომიყვანა და გაჭირვებამ. აბა, კომუნისტების დროს გურჯაანელებს ფული არ გვაკლდა და სასმელ-საჭმელი!“

„აბა, ერთი, ჩემი ზომა ამოვარჩიოთ დედი... ზამთარია, ფეხებს მეტად გავითბობ“ — გია თვითონ იღებს ჩანთიდან ჭრელ-ჭრელ წინდებს, ერთ-ერთს ირჩევს. იქვე ჯდება ძელსკამზე, მარჯვენა ფეხზე იხდის და ცდილობს ნაქსოვი წინდა თავის თხელ წინდას ჩამოაცვას. „შიშველ ფეხებზე ჩაიცვი, შიშველ ფეხებზე!“ — ურჩევს დედაბერი. გია უჯერებს, იხდის და, მართლაც, თავისუფლად ირგებს წინდას. „უჰ, კარგია“, — მერე ჯიბიდან ფულს იღებს, 5 ლარს დედაბერს აწვდის და კმაყოფილი სახით შემოგვცქერის, რას იტყვით, ხომ კარგი ნავაჭრიაო.

„მშვიდობაში ატარე, აბა, კარგად იყავით!“ — ამბობს დედაბერი, თავშალს ისწორებს, ხელჯოხს იმარჯვებს და ნელ-ნელა გადის ბაღიდან.

„ახლა სად მიდიხარ?“ — არ ეშვება ბონდო. დედაბერი ოდნავ აბრუნებს თავს: „ჩავალ ბაზარში, იქნებ სულ გავყიდო და მერე შვილიშვილებთან გავიარ... ენაცვალოთ ბებო!“

დედაბერი თვალს ეფარება.

ვილენ მარდალეიშვილი

◎ განათლება

სამინისტრო სასკოლო ასაკის განსაზღვრაზე მუშაობას აგრძელებს

არსებული კანონმდებლობით, სკოლაში 5 წლის ასაკის ბავშვის მიღება დაშვებულია. თუმცა, როგორც უწყებაში განმარტავენ, საქართველოში ჩატარებული კვლევების თანახმად, სკოლაში 5 წლის ასაკის ბავშვის მიყვანა მიზანშეწონილი არ არის.

სამინისტროში განმარტეს, რომ კვლევის მიხედვით, ამ ასაკში ბავშვები საგანმანათლებლო პროცესისთვის მზად არ არიან, გაკვეთილზე კონცენტრაცია უჭირთ, მოუსვენრობენ, ზოგიერთს ეძინება და ა.შ.

უწყების ინფორმაციით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზოგადი განათლების სტრატეგიაზე მუშაობს, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, სკოლაში ბავშვის მიღების ასაკიც განიხილება.

საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას ეცნობა და საჭიროების შემთხვევაში სიახლეს განახორციელებს. სტრატეგიის საჯარო განხილვა თებერვლიდან დაიწყება.



შვილი გიორგი, შვილიშვილები ნოდარი, ჯუმბერი, რძლები ირინე, ანანო, ნინა, შვილთაშვილები გიორგი, მარიამი, ქეთევანი, ნიკო, დეიდაშვილები გია მახარაშვილი, მარინა ელიოზიშვილი, მამიდაშვილები ნანა, მუხლია, თემურ ჩხიკვიშვილები, იზო, მურმან, ვერიკო მარგალიტაძეები, ბიძაშვილები დიანა, ცისანა, ლუიზა, ანზორ ლომინაძეები, ასლან, ლაურა ცაბაშვილები, მძახლები მარიამ კარბელაშვილი, თემურ, მაია გაბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ჯუმბერ ლომინაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22 I, 17 სთ. მისამართი: ნაფარეულის 14, III სად., IV სართ. გამოსვენება: 23 I, 14 სთ. (სიონის საკათედრო ტაძრიდან).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი

ჯუმბერ ლომინაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ფრიდონ თოდუა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს

ჯუმბერ ლომინაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ალიან-ჩალიანი

რუსეთმა აფხაზეთში საზღვარი 11 კილომეტრით გადმოწია

თავდაცვის **მინისტრის ინფორმაციით, სამინისტროს ხელთ არსებული ძალები და საშუალებები ყველა სცენარის მიხედვით საკმარისი იქნება გამოწვევებზე რეაგირებისთვის.**

აფხაზეთის ე.წ. მთავრობის გადაწყვეტილებით, 20 იანვრიდან 21 მარტის ჩათვლით, გაგრის რაიონში სასაზღვრო ზონები დროებით შეიცვალა. როგორც აფხაზური მედია წერს, სასაზღვრო ზოლი რუსეთის ფედერაციიდან აფხაზეთში 11 კილომეტრის სიღრმეში დადგინდა.

მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში საზღვრის ზონას გადაკვეთენ, ვალდებულები არიან თან ჰქონდეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები.

თიბილოვმა ე.წ. მთავრობა დაითხოვა

სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა ე.წ. მინისტრთა კაბინეტი სრულად დაითხოვა. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება თიბილოვმა მინისტრთა კაბინეტის წევრებთან შეხვედრაზე გაახმაურა. მიზეზად თიბილოვმა მთავრობის მუშაობით უკმაყოფილება დაასახელა.

როგორც ე.წ. პრეზიდენტმა აღნიშნა, მთავრობამ ვერ შეძლო მის წინაშე დაკისრებული მოვალეობების შესრულება, რომელიც ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხებოდა.

თიბილოვმა ე.წ. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დომენტი კულუმბეგოვი დანიშნა, რომელიც აქამდე ე.წ. ვიცე-პრემიერის პოსტს იკავებდა.

ბათუმში „პუმას“ მაღაზია გაქურდეს

ბათუმში, ბარათაშვილის 23 ნომერში ავსტრიული ბრენდის, „პუმას“ მაღაზია გაქურდეს. როგორც მაღაზიის მენეჯერმა ბიძინა მაკარაძემ განაცხადა, ქურდებმა ღამის საათებში მაღაზიიდან შვიდი ქურთუკი წაიღეს. მისივე თქმით, მაღაზიის თანამშრომლებს სალაროში ფული არ დაუტოვებიათ.

— ზარალი 1 500 ლარამდეა. კარის საკეტი გატეხეს და 30 წამში გაიტანეს საქონელი. დაცვის პოლიცია 3 წუთში მივიდა ადგილზე, თუმცა, ქურდებმა მიმალვა მოახერხეს. როგორც ვიცი, სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა მაღაზიის კარის დაზიანების ფაქტი და პოლიციამ ეჭვმიტანილები უკვე დააკავა, — აღნიშნა ბიძინა მაკარაძემ.

შემთხვევა 18 იანვარს ღამის საათებში მოხდა.

ინტერპრესი

◎ ჩვენი კარაბადინი

როგორია თქვენი ბიოლოგიური ასაკი?

იმისათვის, რომ მიახლოებით გავიგოთ ჩვენი ბიოლოგიური ასაკი, დაგვეხმარება მარტივი ტესტირება, რომელიც სახლშიც კი შეიძლება ჩავიტაროთ.

ცნობილია, რომ ასაკი პასპორტით შეიძლება არ შეესმაბამებოდეს ნამდვილ ბიოლოგიურ ასაკს. და საქმე არის არა მხოლოდ გარეგნობაში, არამედ ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის მუშაობაში. 40 წლის ასაკში ვიღაცის სხეული შეიძლება ფუნქციონირებდეს, როგორც 60 წლის ადამიანისა, მეორისა კი პირიქით, 50 წლის ადამიანისთვის, როგორც 35 წლის ასაკში. მაშ რამდენად უფრო უფროსია ან უმცროსი თქვენი ორგანიზმი თქვენს რეალურ ასაკთან შედარებით?

1. კანი

ხელისგულის კანს მეორე ხელის ცერითა და საჩვენებელი თითით უჭქმიტეთ 5 წამის განმავლობაში. ახლა ჩაინიშნეთ: რამდენი წუთის განმავლობაში გაივლის ნაჩქმეტის კვალი?

ა) 5 წამამდე – თქვენი კანი 20 წლისაა;
ბ) 6-8 წამში – 30 წლის;
გ)9-12 წამში – 40 წლის;
დ) 13-15 წამში –50 წლის;
ე)16-19 წამში – 60 წლის;
ვ)19 წამზე მეტი – 70 და მეტი წლისა.

2. ნერვიული სისტემა

სთხოვეთ ვინმეს, დაიკავოს თქვენს წინ 50 სანტიმეტრის ჩვეულებრივი ს ა ს კ ო ლ ო სახაზავი. იგი უნდა იყოს დაყენებული ვერტიკალურად ისე, რომ ციფრი 0 იყოს ქვევით, ხელში კი უნდა ეჭიროს მეორე ბოლოდან, თქვენი ხელი კი – დაახლოებით 10 სანტიმეტრით დაბლა სახაზავიდან. თქვენი თანაშემწე ხელს უშვებს სახაზავს, თქვენ კი უნდა დაიჭიროთ იგი ცერითა და საჩვენებელი თითით. რომელ ნიშნულზე მოხდა ეს?



ა) 20 სანტიმეტრამდე – თქვენი ნერვები 20 წლისაა;
ბ) 30 სანტიმეტრამდე – 30 წლის;
გ) 35 სანტიმეტრამდე – 40 წლის;
დ) 40 სანტიმეტრამდე – 50 წლის;
ე) 45 სანტიმეტრამდე – 60 წლის;
ვ) ვერ მოასწარით დაჭერა – 70 და მეტი წლის.

3. გული და სისხლძარღვები

ფეხზე მდგომმა დაითვალეთ თქვენი პულსი. ჩაჯექით 20-ჯერ საკმაოდ სწრაფ ტემპში. კვლავ დაითვალეთ პულსი – რამდენად გაიზარდა?

ა) 10 დარტყმამდე – თქვენი გულსისხლძარღვთა სისტემა 20 წლისაა;
ბ) 10-20 დარტყმამდე – 30 წლის;
გ) 20-30 დარტყმამდე – 40 წლის;
დ) 30-40 დარტყმამდე – 50 წლის;
ე) 40 და მეტი დარტყმა – 60 წლის;
ვ) ვერ შეძელით ჩამჯდარიყავით ბოლომდე – 70 და მეტი წლისა.

4. კუნთების ძალა

როდესაც მაგარ ზედაპირზე წევხართ ზურგით, ასწიეთ მხრები და ბეჭები იატაკიდან. წელი ადგილზე რჩება. შეიძლება იქნიო ხელები ისე, რომ შეიძლებოდეს ეყრდნობოდე ხელებსა და ფეხებს. რამდენჯერ შეძელით ეს?

ა) 40-ჯერ – ძალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ 20 წლისა ხართ;
ბ) 35-ჯერ – 30-ისა;
გ) 28-ჯერ – 40-ისა;
დ) 23-ჯერ – 50-ისა;
ე) 15-ჯერ – 60-ისა;
ვ)12-ზე ნაკლებჯერ – 65 წელზე მეტი ხნისა.

5. იოგები და მყესები

ფეხზე მდგარმა გადაიხარეთ წინ, შეიძლება მოხაროთ მუხლები. სადამდე მიაღწევთ ხელისგულებით? დაიწყვეთ ხელისგულები იატაკზე – თქვენი იოგები 20 წლისაა;

ა) შეეხეთ იატაკს მხოლოდ თითებით, ხელისგულებით ვერ მიწვდით – 30 წლის;
ბ) ხელისგულებით მიწვდით კოჭებამდე – 40 წლის;
გ) დააწყვეთ ხელისგულები მუხლებს ქვემოთ – 50 წლის;
დ)შეეხეთ მუხლებს– 60 წლის;
ე) ვერ მიწვდით მუხლებს –70 და მეტი წლის.

6. სახსრების მდგომარეობა

წაიღეთ ორივე ხელი ზურგს უკან: ერთი ქვევიდან, მეორე მხრიდან:. შეეცადეთ ბეჭების დონეზე შეუერთოთ თითები ერთმანეთს. რა გამოვიდა?

ა) ადვილად გადააჭვდეთ ერთმანეთს თითები – თქვენი სახსრები 20 წლისაა;
ბ) თითები შეეხო ერთმანეთს, მაგრამ გადაჭდომა ვერ მოხერხდა – 30 წლის;
გ) ხელისგულები ახლოა ერთმანეთთან, მაგრამ თითები ვერ ეხება ერთმანეთს – 40 წლის;
დ) ხელისგულები ზურგსუკანაა, თუმცა, საკმაოდ შორს ერთმანეთისგან – 50 წლის;
ე) ძლივს მიიტანეთ ხელისგულები ზურგსუკან – 60 წლის;
ვ) ვერ გამოდის ზურგსუკან ორივე ხელის მიწვდენა – 70 წლის.

7. სასუნთქი სისტემა

აანთეთ სანთელი. მაქსიმალურად რა მანძილიდან შეგიძლიათ ჩააქროთ იგი ერთი ჩასუნთქვით?

ა) 1 მეტრიდან – თქვენი ფილტვები 20 წლისაა;
ბ) 80-90 სანტიმეტრიდან –30 წლის;
გ) 70-80 სანტიმეტრიდან – 40 წლის;
დ) 60-70 სანტიმეტრიდან – 50 წლის;
ე) 50-60 სანტიმეტრიდან – 60 წლის;
ვ) 50-ზე ნაკლები სანტიმეტრიდან – 70 და მეტი წლის.

8. კოორდინაცია

ოჯახის რომელიმე წევრის დახამარება დაგჭირდებათ. ფეხთ გაიხადეთ, დახუჭეთ თვალები, დადექით ცალ ფეხზე, მეორე ფეხისგულით მიაწექით საყრდენი ფეხის წვივს (კანჭს). თქვენი დამხმარე საათზე ინიშნავს, თუ რამდენ ხანს შეგიძლიათ ასე იდგეთ.

ა) 30 წამი და მეტი – თქვენ 20 წლისა ხართ;
ბ) 25 წამი – 30 წლის;
გ) 20 წამი – 40 წლის;
დ) 15 წამი – 50 წლის;
ე) 10 და ნაკლები წამი – 60 წლის:
ვ) საერთოდ არ შეგიძლიათ დგომა – 70 და მეტი წლის.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაუშინგტონ ვარსებობთ

ლიტვამ პასპორტში ეროვნების გრაფა აღადგინა!

ლიტვის მთავრობამ წინასაახალწლოდ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და პასპორტში ეროვნების გრაფა აღადგინა. ამდენად, პასპორტში ეროვნების გრაფის არმქონე საქართველოში კიდევ უფრო აქტიური ხდება კითხვა: თუ ევროკავშირის წევრ ლიტვას შეუძლია მოქალაქეების პასპორტში ეროვნების ჩაწერა, ჩვენ რატომ გვეკრძალება?! როგორც ლიტვის მაგალითიდან ჩანს, ევროკავშირი, თურმე, არ კრძალავს, რომ პასპორტში ყველას თავისი ეროვნება ეწეროს. რა თქმა უნდა, ჩვენს შემთხვევაში ყოველივე სააკაშვილის კაცთმოძულე ხელისუფლების ნამოქმედარია.

„ასავალ-დასავალი“

„სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს!“

– გვიმხელს საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი, – თუმცა, კვირაში ერთხელ აუცილებლად გვეხმიანება. იგი პარტიის მუშაობაში დიდი ხანია, აღარ მონაწილეობს, რადგან მიაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობა ახლა მის გარეშე უნდა განვითარდეს.

„ვერსია“

რამდენიმე გამგებელი შეიძლება დაიჭირონ

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისია გლდანი-ნაძალადევის გამგეობაში არსებულ ფინანსურ ხარვეზებზე საუბრობს. კომისიის თავმჯდომარის მიხეილ ჯაფარიძის განცხადებით 2012 წელს საბიუჯეტო თანხები წინასაარჩევნოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებისთვის გამოიყენებოდა. კომისია უახლოეს დღეებში დასკვნას შემდეგი რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნის. ქავთარაძე გამგებლისა და მერიის მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობაზეც საუბრობს და ვარაუდობს, რომ შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრას.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ოდესმე გინახავთ სიცრუის დეტექტორი?

– მე კი, არათუ მარტო მინახავს, მოფიქრება არ გინდა, მასზე დავქორწინდი კიდეც!

* * *

გადავწყვიტე, დილაობით მუცლის პრესი გამევარჯიშებინა. ავდექი დილის ექვს საათზე, დავწექი იატაკზე. გამელვიძა თერთმეტ საათზე.

* * *

– **ჩემმა** ახალგაზრდობამ პირამიდების მშენებლობის ეპოქაში ჩაიარა.

– ეგვიპტური პირამიდებისა?

– ფინანსურისა...

* * *

ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს:

– გამარჯობა, როგორა ხარ?

– ნორმალურად. უკვე ექვსი თვეა, კარატეს სექციაში დავდივარ...

– ვააჰ, მაგარია! როგორი წარმატებები გაქვს?

– ისე რა, ამ დროის განმავლობაში ორჯერ ქუჩაში მცემეს, სამჯერ – ბარში...

– ერიჰა! მანამდე როგორ იყო?

– მანამდე არავის ვუცემივარ: როგორღაც ყველა გაურბოდა კონფლიქტს.



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24